

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქეთევან გორდუზიანი

საქართველოს წყალსადენების საინჟინრო ინფრასტრუქტურის
პრობლემების გადაჭრის მეთოდოლოგია

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: სამშენებლო

შიფრი: 0406

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი ქეთევან გორდეზიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამშენებლო ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, ვადასტურებთ, რომ გავეცანით ქეთევან გორდეზიანის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს სახელწოდებით: „საქართველოს წყალსადენების საინჟინრო ინფრასტრუქტურის პრობლემების გადაჭრის მეთოდოლოგია“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-----, ----- 2019 წელი

დისერტაციის ხელმძღვანელი:

პროფ. ლევან კლიმიაშვილი

პროფ. გურამ სოსელია

რეცენზენტი:

პროფ. რამაზ ენუქიძე

რეცენზენტი:

პროფ. კონსტანტინე ზზიავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2019 წელი

ქეთევან გორდეზიანი

საქართველოს წყალსადენების საინჟინრო ინფრასტრუქტურის

პრობლემების გადაჭრის მეთოდოლოგია

სადოქტორო პროგრამა: მშენებლობა

ხარისხი: აკადემიური დოქტორი მშენებლობაში

სხდომა ჩატარდა: _____

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სუფთა წყალი წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთ მძლავრ მამოძრავებელ ძალას. ის აფართოებს ადამიანის შესაძლებლობებს, ეხმარება ჯანმრთელობის მდგომარეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების ეფექტური ციკლის შექმნაში. უსაფრთხო სასმელი წყლისადმი შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ადამიანის არსებობის ფუნდამენტური და ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ დეკლარირებული „წყალზე ადამიანის უფლება“ მოწოდებულია თითოეული ადამიანის, უსაფრთხო და ხარისხიანი, მათ შორის, სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად. ელემენტარული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თითოეული ადამიანის დღე-ღამეში არანაკლებ 20 ლიტრი სუფთა წყლით უზრუნველყოფა წარმოადგენს ადამიანის წყალზე უფლების დემონსტრირებას და მთავრობების მინიმალურ ამოცანას. ეს ვალდებულება გამოხატავს უნივერსალურ ღირებულებასა და მთავრობების პასუხისმგებლობას მოსახლეობის წინაშე.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლის რესურსების მართვის რეგულირების უზრუნველყოფისათვის საქართველოში შექმნილია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შედგება კანონების, კანონქვემდებარე აქტების, დებულებების, ბრძანებების და სხვა ნორმატიულ სამართლებრივი აქტებისაგან. მათგან წყლის რესურსების მართვისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ (ძალაშია 1997 წლიდან), საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (ძალაშია 1996 წლიდან) და საქართველოს „კანონი წიაღის შესახებ“ (ძალაშია 1996 წლიდან).[1]

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას გარემოს (მათ შორის წყლის რესურსების) დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების სფეროში. [1]

საქართველოში დღეისათვის წყლის რესურსების მართვა ხორციელდება ადმინისტრაციული პრინციპის საფუძველზე. წყლის მართვის სფეროში თავიანთი კომპეტენციის მიხედვით ჩართული სხვა სახელმწიფო ორგანოები არიან: ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აგრეთვე თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

მოსახლეობის ეპიდემიურად უსაფრთხო სასმელი წყლით მომარაგების პრობლემის გლობალურად გადაჭრის მიზნით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ძალისხმევით არაერთი დოკუმენტი იქნა მიღებული, მათ შორის 1999 წლის ლონდონის მესამე ევროპულ კონფერენციაზე გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის

მინისტრებმა მიიღეს ოქმი „წყალი და ჯანმრთელობა“, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტს „ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მდგრადი განვითარებისათვის და საფუძვლია წყლის რესურსების სფეროში პარტნიორობისა და კონკრეტული ღონისძიებების გატარებისა ქალაქების წყალმომარაგებისა და სანიტარიის გაუმჯობესებისათვის, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის განხორციელებისა ტრანსსასაზღვრო, ნაციონალურ და რეგიონულ დონეებზე“. [1] [2]

საქართველომ, როგორც ათასწლეულის დეკლარაციის ხელმომწერმა მხარემ, აიღო ვალდებულება ათასწლეულის განვითარების მიზნების ასახვის უზრუნველყოფისა ეროვნული განვითარების სტრატეგიებში. ამ დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის სასმელი წყლის ხარისხის და მომარაგების სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს 2035 წლისათვის ყველა ოჯახის უზრუნველყოფა ხარისხიანი სასმელი წყლით. [3] [4] [5]

დღესდღეისობით საქართველოში ცენტრალიზებული კომუნალური წყალსადენები არსებობს ყველა 85 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში 156 სათავე ნაგებობით. ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო-სასმელ წყალმომარაგების წყაროებად ძირითადად გამოიყენება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები. აღმოსავლეთ საქართველოს წყლის მარაგი 10 მლრდ. მ³-ს შეადგენს და ძირითადად მიწისქვეშა, მაღალ მინერალიზირებული და მიკროელემენტების მაღალი შემცველობის მქონე წყლის რესურსებით არის წარმოდგენილი. აღნიშნული აუარესებს წყლის ხარისხს და ამცირებს მისი სასმელად გამოყენების შესაძლებლობას. დასავლეთ საქართველოს წყლის მარაგი 50 მლრდ. მ³-ს შეადგენს და წყალმომარაგების წყაროებად ძირითადად ზედაპირული წყლები გამოიყენება. [4] [5] [50]

ქვეყნის მოსახლეობა მოიხმარს როგორც დაბალი (50-100 მგ/ლ), ოპტიმალური (300-500 მგ/ლ), ისე მაღალი (1000-1500 მგ/ლ-ზე მეტი) მინერალიზაციის წყლებს, ხოლო მთელი რიგი წყალსადენების წყლებში აღინიშნება ჰალოგენჩანაცვლებული ნახშირწყალბადების, კერძოდ, კი, ქლოროფორმის მაღალი შემცველობა, რაც ხშირ შემთხვევებში, რისკს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

მთავარ მიზანს მოსახლეობისთვის სასმელი წყლის 24-საათიან რეჟიმში მიწოდება წარმოადგენს. მნიშვნელოვანია წყალარინების და წყალმომარაგების სისტემების მოწესრიგება და ამ სისტემების მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოება. ამის მისაღწევად საჭიროა უამრავი ფინანსური რესურსი, დრო და შრომა. წყალმომარაგება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

არსებული წყლის მიღების დაახლოებით 60% ცუდ მდგომარეობაშია, რაც ხშირ ავარიებს, სასმელი წყლის დაბინძურებასა და სანიტარულ ნორმებთან მისი ხარისხის შეუსაბამობას იწვევს. ტექნიკური დანაკარგი ზოგჯერ 40%-ს აღწევს. ამჟამად ქალაქის მოსახლეობის 10%-ზე ცოტა ნაკლებს და სოფლის მოსახლეობის ნახევარს საცხოვრებელ ბინებში ცენტრალური წყალმომარაგება არა აქვს და წყლის გარე ონკანებსა და ჭებზე

არიან დამოკიდებული. არის ტერიტორიები, სადაც ნებისმიერი ფორმით წყლის მიწოდება საერთოდ პრობლემაა და ეზომდე წყალს ცისტერნებით ეზიდებიან.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ყველა ჩატარებული ტესტი და გამოცდილი პროცესი გვაჩვენებს სტაბილურ ოპერირებას ერთიდაიგივე პარამეტრების დროს. განსხვავება მხოლოდ ტრანს მემბრანული წნევა, გამტარუნარიანობა და საოპერაციო ხარჯებია. რაც ასევე დამოკიდებულია კოაგულანტის რაოდენობასთან, ქლორთან და სხვა ქიმიკატებთან. [27] [42] [43] [44] [45] [46]

ჩატარებული ტესტებისა და გამოცდების შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არის აუცილებელი ქვიშის ფილტრის გამოყენება წინასწარი გაწმენდისთვის თუკი შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია მისაღებია ულტრაფილტრაციისთვის. იმ შემთხვევისთვის კი, თუ ქვიშის ფილტრი ხელმისაწვდომია კოაგულანტით დოზირება პრიორიტეტულია ულტრაფილტრაციისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ დიდი რაოდენობით ავტომატური ქიმიური უკუგამორეცხვა.

ქვიშის ფილტრისგან განხვავებით, ულტრაფრაციის დახმარებით, ორგანული ნივთიერებების მაღალი მაჩვენებლის მიღება შესაძლებელია მიღწეული იქნას. ეს ფაქტი დადასტურდა სპეციალურად ქრომატოგრაფიული ანალიზით, რომელიც ჩატარებული იყო ამ ტესტირებებამდე - ქვიშის ფილტრის კოაგულანტით დოზირებით და ულტრაფილტრაციის კოაგულანტით დოზირებისას. [33] [34] [35] [36] [42] [47] [48] [49] [50] [51] [52]

თუკი კოაგულანტით დოზირება შეუძლებელია, ქლორირებით უკუგამორეცხვას შეუძლია ისეთივე შედეგის მიღწევა მსგავსი საოპერაციო პარამეტრებისას.

საუკეთესო გადაწყვეტილებას წარმოადგენს ულტრაფილტრაცია კოაგულანტით დოზირებისას. რაც ასევე ხარჯებს ამცირებს 3-6მდე.

არსებული ზემოთ აღწერილი პრობლემების გათვალისწინებით და წყალმომარაგების სისტემების შესაძლო პრივატიზების შედეგად გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სრულფასოვანი ჩართვის უზრუნველყოფით;
- წყლის მართვის სფეროში ჩართულ უწყებებს შორის კომპეტენციათა სწორი და მკაცრი განაწილება;
- საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირება და ჩართვა წყლის სექტორში რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;

Methodology for solving water supply engineering infrastructure problems in Georgia

Abstract

Clean water is one of the strong driving force for human development. It expands human ability to help create an effective cycle of health and well-being. Unrestricted access to safe drinking water is the fundamental and one of the basic rights of human existence. The United Nations Economic, Social and Cultural Rights Committee declared „ Human right to water "is committed to each person, safe and high quality drinking water. basic needs of each person per day for at least 20 liters of clean water a human right to water for demonstrating; This is the minimum task of the government. This obligation reflects the universal value and responsibility of governments before the population.

The relevant legal framework established in Georgia for the provision of environmental and natural resources, including water resources regulation, which consists of laws, subordinate acts, provisions, orders and other normative legal acts. The water resources management and protection of the principles of politics in terms of the most important of the law "on the water" (in force since 1997), the Law "On Environmental Protection" (in force since 1996), and the "Law on Mineral Resources" (in force since 1996). [1]

According to the Law of Georgia on Water, the Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia is the governmental institution of executive power of Georgia, ensuring the implementation of state policy in the field of environmental protection (including water resources) and rational use of natural resources. [1]

Nowadays water management is carried out in Georgia based on administrative principle. Other state bodies involved in the field of water management are: Ministry of Economic Development, Ministry of Agriculture, Ministry of Labor, Health and Social Affairs, as well as local self-government bodies.

With the aim of solving the problem of supply of safe drinking water to population, with the efforts of the World Health Organization, many documents were adopted, including at the Third European Conference of London in 1999, the Ministers of Environment and Health adopted a report on "Water and Health", Which is one of the strongest instruments "For sustainable development of Europe, the Caucasus and Central Asian countries and for sustainable development and development of Central Asian countries, the partnership and concrete measures in the field of water resources for the improvement of water supply and sanitation in cities, Integrated Water Resources Management for the implementation of cross-border, national and regional levels ". [1] [2]

Georgia as a signatory to the Millennium Declaration, Has taken the obligation to ensure the development of Millennium Development Goals in National Development Strategies. According to this document, the main purpose

of the drinking water quality and supply strategy of the country's population is to provide all families with quality drinking water by 2035. [3] [4] [5]

Nowadays centralized communal water pipelines exist in all 85 towns and district centers with 156 headworks. Surface and ground waters are mainly used as agricultural and drinking water sources of the country's population. The water supply in eastern Georgia is 10 billion m³ and mainly underground, highly mineralized and microelements are represented by high water content resources. This leads to worsening water quality and reduces the possibility of using it as a drink. Water reserves of Western Georgia are 50 billion m³, and surface water is mainly used as a source of water supply. The country's population consumes as low (50-100 mg / l), optimal (300-500mg / l) and high (1000-1500 mg / l) of the mineralized waters, in a number of water pipelines the high content of halogen substitute hydrocarbons, in particular, the chlorophyll, which in many cases causes the health of the population.

The main purpose of the research is to provide drinking water supply to the population in a continuous, 24-hour regime, in order to improve the water supply and sanitation system in every city and settlement area and approach this system to world standards. However, this requires a lot of financial resources, time and work. Water supply is one of the main priorities for the country's infrastructure development.

About 60% of existing water pipes are in bad condition, which causes frequent accidents, water pollution and incompatibility with its sanitary norms. Technical losses in some areas reaches 40%. At present there is less than 10% of the city's population and half of the rural population does not have a central water supply and they depend on the external tapes and wells. There are territories where water supply in any form is a problem and the water is drawn to cisterns.

All conducted tests and examined processes showed stable operational parameter adjustments. The only differences were in TMP and permeability and the resulting operational costs, which were also influenced by the used amount of coagulant, chlorine and other chemicals. [27] [42] [43] [44] [45] [46]

One can conclude that it is not necessary to include a sand filter as a pretreatment upstream an ultrafiltration step for the treatment of tertiary waste water if the TSS concentration is within adequate range for the UF. If a sand filter is already available, it is already available, it is advisable to operate with coagulant dosing prior the UF, to avoid maybe higher CEB frequencies.

With the aid of ultrafiltration, higher elimination rates of organic substances can be achieved compared to sand filtration. This fact was proofed with the special LCOCD analysis which was done for both tests: coagulant dosing prior SF and coagulant dosing prior UF. [33] [34] [35] [36] [42] [47] [48] [49] [50] [51] [52]

If the use of coagulant is not possible or desired and the utilization of chlorine is not specified, it is demonstrated that operation with chlorinated backwashes and the same operational parameters is possible and could achieve comparable results.

The best solution regarding OPEX is the operation with intermittent addition of coagulant upstream the UF. The costs will roughly be 3 to 6 times lower compared to other options.

In order to prevent the adverse impacts caused by the above described problems and the possible privatization of water supply systems, it is necessary to carry out the following measures:

- Ensuring full participation of all stakeholders in the process of development of a single state policy in the field of water conservation and use;
- Correct and strict distribution of competences between the agencies engaged in water management;
- Fully inform and engage the public while making decisions on planning and implementation of reforms in the water sector;

შინაარსი

შესავალი და ნაშრომის საერთო დახასიათება.....	14
თავი 1. წყალმომარაგების სისტემების მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის პროცესის კვლევა და დახასიათება.....	20
1.1 რას წარმოადგენს წყალმომარაგების სისტემა.....	20
1.2 დედაქალაქის წყალმომარაგება.....	22
1.3 რეგიონების წყალმომარაგება.....	25
თავი 2. საქართველოს წყლის რესურსები.....	27
2.1 მდინარეების ზოგადი დახასიათება და ჰიდროგრაფიული ქსელის თავისებურებანი.....	29
თავი 3. წყალმომარაგების პრობლემები.....	36
3.1 ფაქტები წყლის დეფიციტზე მსოფლიოში.....	36
3.2 ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების გავლენა წყლის დეფიციტზე.....	37
3.3 ინტენსიფიკაცია თუ ექსტენსიფიკაცია.....	41
3.4 ჟონვებზე დანაკარგები და წყლის უყიარათო ხარჯვა.....	42
3.5 საცირკულაციო და წყლის განმეორებით გამოყენების სისტემები.....	43
თავი 4. თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული პროცესები.....	44
თავი 5. წყლის მეთამეულ გაწმენდა და კოაგულანტის ხარჯის მკვეთრ შემცირება.....	46
5.1 შესავალი.....	46
5.2 მატერიალები და მეთოდები.....	48
5.3 საცდელი დანადგარი.....	49
5.4 მუშა პროცესი.....	49
5.5 ანალიტიკური მონაცემები.....	50
5.6 შეჯამება და დისკუსია.....	50
5.7 ოპერაცია უწყვეტი / წყვეტილი კოაგულანტის დოზირებით.....	52
5.8 უწყვეტი კოაგულანტის დოზირება - 5 მგ/ლ Al.....	53
5.9 წყვეტილი კოაგულანტის დოზირება - 5 მგ/ლ Al.....	55
5.10 ქლორირებული უკუგამორეცხვა.....	56
5.11 უკუგამორეცხვა ~ 150 მგ/ლ Cl ₂	57
5.12 უკუგამორეცხვა ~ 50 მგ/ლ Cl ₂	58
5.13 ოპერაცია ქვიშის ფილტრაციით, როგორც წინასწარი გაწმენდა.....	60
5.14 კოაგულანტით დოზირება ქვიშის ფილტრის უკუმიმართულებით.....	62
5.15 კოაგულანტით დოზირება ულტრაფილტრაციით უკუმიმართულებით.....	65
5.16 შედეგების შედარება - ქვიშის ფილტრის უკუმიმართულებით და ულტრაფილტრაციის უკუმიმართულებით.....	68
5.17 შედარება.....	71
5.18 დასკვნა.....	74
თავი 6. კურორტ აბასთუმნის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის სათავე „ვარატა“-ს რეაბილიტაცია საინჟინრო-ისტორიული ნაგებობის შენარჩუნების მიზნით.....	75

6.1 არსებული მდგომარეობა.....	78
6.2 გადაწყვეტილება	81
6.3 კურორტ აბასთუმანში და ალობილში მდებარე რეზერვუარების მდგრადობის დადგენა	88
6.4 წყალმიმღები „ვარატას“ რეაბილიტაციის საპროექტო გადაწყვეტილება	105
დასკვნა.....	148
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა	150

ცხრილების ნუსხა

მდინარის კატეგორია ცხრილი #1.....	29
მდინარეთა ჯამური სიგრძე, კმ ცხრილი #2.....	30
საქართველოს მთავარი მდინარეებისა და მისი ზოგიერთი პირველი რიგის შენაკადის საშუალო მრავალწლიური ჩამონადენი შესაბამის ჩამკეტ კვეთებთან.....	
ცხრილი #3.....	30
საქართველოს მთავარი მდინარეებისა და მისი ზოგიერთი პირველი რიგის შენაკადის საშუალო მრავალწლიური ჩამონადენი შესაბამისი ჩამკეტ კვეთებთან.....	
ცხრილი #4.....	32
საქართველოს მთავარი მდინარეებისა და მისი ზოგიერთი პირველი რიგის შენაკადის საშუალო მრავალწლიური ჩამონადენი შესაბამისი ჩამკეტ კვეთებთან.....	
ცხრილი #5.....	323
საქართველოს ზოგიერთი მდინარის საშუალო წლიური მყარი ჩამონადენი (წყალსაცავების მოსიღვის მასალების მიხედვით). ცხრილი #6.....	33
საქართველოს მნიშვნელოვანი ტბების ზოგიერთი მორფომეტრული მონაცემები. ...	
ცხრილი #7.....	34
საშუალო ანალიტიკური მონაცემები ცხრილი 8.....	52
სხვადასხვა ტესტების მიმოხილვა ცხრილი 9.....	52
ოპერატიული პარამეტრები 5 მგ/ლ Al ცხრილი 10.....	53
ანალიტიკური მონაცემები - უწყვეტი დოზირება 5 მგ/ლ Al ცხრილი 11.....	54
ანალიტიკური მონაცემები - წყვეტილი დოზირებისას 5 მგ/ლ Al ცხრილი 12	56
ოპერატიული პარამეტრი - ქლორირებული უკუგამორეცხვა ცხრილი 13.....	56
ოპერატიული პარამეტრი - ქლორირებული უკუგამორეცხვა 150 მგ/ლ Cl ₂ ცხრილი 14.....	57
ოპერატიული პარამეტრი - ქლორირებული უკუგამორეცხვა 50 მგ/ლ Cl ₂ ცხრილი 15.....	60
ოპერატიული პარამეტრი - ქვიშის ფილტრის შემთხვევაში ცხრილი 16	61
ანალიტიკური მონაცემები - ქვიშის ფილტრის კოაგულანტით დოზირებისას 3 მგ/ლ Al ცხრილი 17.....	63
ანალიტიკური მონაცემები - ქვიშის ფილტრის კოაგულანტით დოზირებისას 5 მგ/ლ Al ცხრილი 18.....	64

ანალიტიკური მონაცემები - ულტრაფილტრაციის კოაგულანტით დოზირებისას 3 მგ/ლ Al ცხრილი 19.....	66
ანალიტიკური მონაცემები - ულტრაფილტრაციის კოაგულანტით დოზირებისას 5 მგ/ლ Al ცხრილი 20.....	67
სიმღვრივე - კოაგულანტით დოზირებისას ქვიშის ფილტრი და ულტრაფილტრაცია ცხრილი 21.....	69
ქვიშის ფილტრის და ულტრაფილტრაციის კოაგულანტით დოზირება ცხრილი 22.....	70
LCOCD ანალიზი ცხრილი 23	70
ფასები, რაც გამოყენებულია მთლიანი საანგარიშო ხარჯების დასადგენად ცხრილი 24.....	71
OPEX მთლიანი საანგარიშო ხარჯები ცხრილი 25	72

სურათები

მდინარე კოლორადოს დელტა (სურათი #1)	39
წყლის დეფიციტი მსოფლიოში (სურათი #2)	39
სურათი #3	48
სურათი # 4	50
სურათი # 5	52
სურათი # 6	53
სურათი # 7	54
სურათი 8	55
სურათი # 9	56
სურათი 10	58
სურათი 11	59
სურათი # 12.....	61
სურათი 13	62
სურათი 14	64
სურათი 15	65
სურათი 16	67
ოდრხე (სურათი #17)	78
ვარატას წყალმიმღები (სურათი #18).....	79
ვარატას წყალმიმღები (სურათი #19).....	79
ვარატას წყალმიმღები (სურათი #20).....	80
ტოპოგრაფიული რუკა; კურორტი აბასთუმანი (სურათი #21).....	83
ჰიდროციკლონი (სურათი #22).....	114
ბადურა ფილტრი (სურათი #23).....	115

ნახაზების ნუსხა

ქ. თბილისის წყალსადენის სიტუაციური სქემა (ნახაზი #1).....	24
წყლის რესურსები (დიაგრამა #1).....	27
საქართველოს სქემატური რუკა მინერალური წყაროების დატანით (ნახაზი #2)...	28
წყლის დღიური მოხმარება ქვეყნების მიხედვით (დიაგრამა #2)	40
თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული პროცესები (ნახაზი #3)	45
კურორტ აბასთუმნის კვლევითი გადაწყვეტილება (ნახაზი #4).....	84
წყალმიმღები „ვარატას“ რეაბილიტაციის საპროექტო გადაწყვეტილება (ნახაზი #5)	105
წყალმიმღები „ვარატას“ რეაბილიტაციის საპროექტო გადაწყვეტილება (ნახაზი #6)	106
წყალმიმღები „ვარატას“ რეაბილიტაციის საპროექტო გადაწყვეტილება (ნახაზი #7)	1077
(ნახაზი #8)	1099
(ნახაზი #9)	11010
(ნახაზი #10)	110
ულტრაფილტრაცია (ნახაზი #11)	118
საქლორატოროს მოწყობისა და მართვის ავტომატიზაციისათვის შემოთავაზებულია შემდეგი პრინციპიალური სქემა (ნახაზი #12)	125

ანალიზები

წყლის სინჯის რეპორტი - სათავე „ვარატა“ #1.....	84
წყლის სინჯის რეპორტი - სათავე „ვარატა“ #2.....	85
წყლის სინჯის რეპორტი - სათავე „ვარატა“ #3.....	86

შესავალი და ნაშრომის საერთო დახასიათება

ნაშრომის აქტუალობა. თანამედროვე საზოგადოების სამეურნეო და კულტურული მოღვაწეობა მჭიდროდა არის დაკავშირებული წყლის რესურსების გამოყენებასთან. წყლის გარეშე წარმოუდგენელია სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგის განვითარება. წყალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბუნებრივ რესურსებს შორის, რაც განპირობებულია ადამიანისათვის მისი შეუცვლელიობით.

საქართველოს კანონმდებლობა და ის პროგრამები, რომლებიც სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსახლეობის ეკოლოგიურად უსაფრთხო წყლით უზრუნველყოფას ეხება, წყლის ხარისხის ევროსტანდარტამდე დაყვანის ძირითადი სტრატეგიაა.

შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგება დღეისთვის არ არის დამაკმაყოფილებელი, ამიტომ სასურველია აქტიურად გამოვიყენოთ წყლის დამუშავებისა და მიწოდების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები.

კომუნალური მომსახურების აღნიშნული სფერო წყალმომარაგების დარგში უნდა დაექვემდებაროს მართვის ისეთ სტრატეგიას, რომელიც ორიენტირებული იქნება სისტემურ-ლოგისტიკური მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებაზე.

საქართველომ, როგორც ათასწლეულის დეკლარაციის ხელმომწერმა მხარემ, აიღო ვალდებულება ათასწლეულის განვითარების მიზნების ასახვის უზრუნველყოფისა ეროვნული განვითარების სტრატეგიებში. ამ დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის სასმელი წყლის ხარისხის და მომარაგების სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს 2035 წლისათვის ყველა ოჯახის უზრუნველყოფა ხარისხიანი სასმელი წყლით.

აღნიშნულ კონტექსტში წყალმომარაგების მოქმედ სისტემებში სისტემური მეთოდოლოგიური მიდგომის ასპექტების გამოყენება რეალური დროის შესაბამისად, მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის

ნორმალური პროცესის მსვლელობა - შენარჩუნების გარანტიას იძლევა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მომხმარებელთა მიერ დამყარებული წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პროცესი ხასიათდება დროში ცვალებადობის გარკვეული არარაციონალურობით, მაშინ წინამდებარე დისერტაციის შესაბამისად წყალმომარაგების მოქმედი სისტემების ეფექტური ფუნქციონირების მეთოდოლოგიის შემუშავება ქმედით აქტუალობას იძენს და მას გააჩნია როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული ღირებულება.

სამუშაოს მიზანი და კვლევის ამოცანა. სამუშაოს მიზანი და კვლევის ამოცანები ემყარება წყალმომარაგების მოქმედი სისტემების ეფექტური ფუნქციონირების მისაღწევად დასმული ისეთი საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დაკავშირებულია როგორც სისტემური ორგანიზაციის მეთოდოლოგიური მიდგომის პრინციპების, ასევე ეფექტური მართვის შემუშავებასთან მომხმარებელთა მიერ რეალური დროის შესაბამისად დამყარებული წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად, კერძოდ:

- შემუშავებულია რეალური დროის შესაბამისად მოქმედი წყალმომარაგების სისტემების მეთოდოლოგია მათი ეფექტური ფუნქციონირების მიზნით და შესაბამისად, სისტემატიზებულია საინფორმაციო (კომპიუტერული) მართვა;
- შემუშავებულია რეალური დროის შესაბამისად მოქმედი წყალმომარაგების სისტემების მომხმარებელთა მიერ დამყარებული წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პროცესის საიმედოობის დონის ამაღლების შესაძლებლობა.

ამჟამად საქართველოს წყალმომარაგების მთელი სისტემა ექვემდებარება სასმელი წყლის გაუსნებოვნებას სხვადასხვა მეთოდით, კერძოდ:

- თხევადი ქლორით გაუსნებოვნება,
- ჰიპოქლორიტის ხსნარით,
- ქლორის ოქსიდანტებით,

➤ ქლორიანი კირის წყალხსნარით.

რაც შეეხება მოპოვებული სასმელი წყლის მიწოდებას სადაწნეო რეზერვუარებზე და აბონენტებამდე - საქართველოს რელიეფიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევაში ხდება იძულებითი წესით (ტუმბო-აგრეგატებით) ან რელიეფის მიხედვით თვითდენით მიწოდება.

მეცნიერული სიახლე. შემუშავებულია წყალმომარაგების მოქმედი სისტემების ეფექტური ფუნქციონირების მართვის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად კომპლექსურად განიხილება და წყდება წყლის წმენდის ამოცანები მინიმალური დანახარჯით, რეალური დროის შესაბამისად. არსებული დისერტაციაში აღწერილი პრობლემების გათვალისწინებით და წყალმომარაგების სისტემების შესაძლო პრივატიზების შედეგად გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ❖ წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სრულფასოვანი ჩართვის უზრუნველყოფით;
- ❖ წყლის მართვის სფეროში ჩართულ უწყებებს შორის კომპეტენციათა სწორი და მკაცრი განაწილება;
- ❖ საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირება და ჩართვა წყლის სექტორში რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;

სასმელი წყლის გაწმენდისას ულტრაფილტრაციაში კოაგულაციის ძირითადი მიზანია კოლოიდური ორგანული ნაწილაკების მუხტის განეიტრალება, რათა უკუგამორეცვისას ნაწილაკები ადვილად მოშორდნენ მემბრანებს და აღადგინონ მათი გამტარუნარიანობა. ამ მიზნის მისაღწევად დისერტაციაში განხილულ ცდებსა და კვლევებზე დაყრდნობით, საკმარისია 30-60წმ საკონტაქტო დრო. საკონტაქტო ავზად განკუთვნილია შესაბამისი მოცულობის სადაწნეო ავზები. ფლოკულაცია არ არის საჭირო. აღსანიშნავია, რომ ახალი მონაცემების მიხედვით, საკმარისია კოაგულაცია

მოხდეს ფილტრაციის დაწყებიდან პირველი 4-5 წუთის განმავლობაში. ეს მეთოდი კოაგულანტის გამოყენებას ამცირებს არანაკლებ 8-ჯერ, რაც სერიოზულ ეკონომიას იძლევა.

ყველა ჩატარებული ტესტი და გამოცდილი პროცესი გვაჩვენებს სტაბილურ ოპერირებას ერთიდაიგივე პარამეტრების დროს. განსხვავება მხოლოდ ტრანს მემბრანულ წნევაში, გამტარუნარიანობასა და საოპერაციო ხარჯებშია. რაც ასევე დამოკიდებულია კოაგულანტის რაოდენობასთან, ქლორთან და სხვა ქიმიკატებთან.

კვლევის პერსპექტიული ობიექტები. საქართველოს ქალაქებისა და სოფლების წყალმომარაგების სისტემები.

კვლევის მეთოდი. წყალსადენების საინჟინრო ინფრასტრუქტურის მეთოდოლოგიის თეორიის გამოყენებით შესრულებულია წყლის მოპოვების, გაწმენდისა და მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიურ პროცესში დაკვირვებული ექსპერიმენტული კვლევის მონაცემების დამუშავება და მოდელირება. ჰიდრავლიკური მოდელირება განხორციელებული იქნა კომპიუტერულ პროგრამებში Epanet, WaterGEMS, EPA-SWMM და SewerGEMS დარსი-ვეირბახის განტოლების გამოყენებით. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ყველა ძირითადი შენობა-ნაგებობებისთვის (რეზერვუარები, სატ. სადგურები, DMA, PRV და სხვა კამერებისა და კონსტრუქციების) სტრუქტურული ანგარიში ევრონორმების (Eurocode 2: Design of concrete structures) გამოყენებით მოხდა; [53] [54] [55] [56] [57] [58] [59] [60] [61] [66] [67] [68] [69]

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული წყალმომარაგების სისტემის გაანგარიშება სრულიად შეესაბამება EN 805 „წყალმომარაგება - მოთხოვნები გარე წყალმომარაგების სისტემების და კომპონენტებისთვის“, BS EN 1508 “წყალმომარაგება - მოთხოვნები წყლის სამარაგო ნაგებობების სისტემებისთვის და კომპონენტებისთვის“ და სხვა ქართულ და EN სტანდარტებს. [1] [2] [3] [4] [53] [54] [55] [56] [57] [58] [59] [60] [61] [66] [67]

წყალარინების სისტემის ანგარიში შეესაბამება EN 752 „დრენაჟი და კანალიზაცია შენობების გარეთ“, BS EN 476 “კანალიზაციასა და დრენაჟებში გამოყენებული კომპონენტების ზოგადი მოთხოვნები“, EN1917 „ბეტონის ჭები და საინსპექციო კამერები, არაარმირებული, ფოლადის ბოჭკოიანი და არმირებული“, EN 1610 „დრენაჟებისა და კანალიზაციის მშენებლობა და ტესტირება“ და სხვა ქართულ და EN სტანდარტებს. [1] [2] [3] [4] [53] [54] [55] [62] [63] [64] [65] [68] [69]

კვლევის მეთოდი აღნიშნულ დისერტაციაში განისაზღვრა შემდეგნაირად:

- საკვლევი არეალის დაზუსტებული საზღვრები;
- კრიტერიუმები, რომლებიც გამოყენებულია საპროექტო ხარჯების დასადგენად;
- მინიმალური და მაქსიმალური წნევები გამანაწილებელ ქსელში;
- კანალიზაციისა და წყლის მილებს შორის მინიმალური ჰორიზონტალური და ვერტიკალური დაშორებები;
- გამანაწილებელ ქსელში ჩამკეტ-მარეგულირებელი არმატურის განთავსების მეთოდოლოგია;
- სახანძრო ჰიდრანტების განთავსების მეთოდოლოგია;
- წყალმომარაგების მილის მოწყობის მინიმალური სიღრმე;
- მილსადენებში წყლის მოძრაობის მაქსიმალური და მინიმალური სიჩქარეები;
- გამანაწილებელი ქსელების მთავარი მილების მინიმალური დიამეტრი;
- დაერთების მინიმალური დიამეტრი;
- გამრეცხი არმატურის და ვანტუზების განლაგების მეთოდოლოგია;
- მილსადენების განლაგების მეთოდოლოგია;

- წყალწარმოების ობიექტების, რეზერვუარების კონსტრუქციული კრიტერიუმები: ბეტონის კლასი, არმატურის დამცავი ბეტონის მინიმალური საფარის სისქე და ა.შ. ი და სხვა.

კვლევა მოხდა შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით:

- მოსახლეობის ამჟამინდელი და პერსპექტიული რაოდენობა;
- დაგეგმილი განაშენიანება;
- მოსახლეობის სიმჭიდროვე არსებული და პერსპექტიული განაშენიანების უბნების გათვალისწინებით;
- ტურისტების ამჟამინდელი და პერსპექტიული რაოდენობა;
- ამჟამინდელი მსხვილი მომხმარებლების (ინდუსტრიული, კომერციული და ინსტიტუციონალური) წყალმომარება;
- პერსპექტივაში მსხვილი მომხმარებლების საორიენტაციო ადგილმდებარეობა და წყალმომარება;
- წყალმომარაგება-წყალარინების ობიექტებისა და მილსადენების არსებული მდგომარეობის დეტალური აღწერა; (ზემოთხსენებული დოკუმენტები მოძიებულ და მოკვლეულ იქნა დისერტაციის კვლევისა და მზადების პროცესში).

სამუშაოს პრაქტიკული ღირებულება და შედეგების რეალიზაცია. მიღებული შედეგები შეიძლება პერსპექტივაში რეალიზებულ იქნას საქართველოს ქალაქების და სოფლების წყალმომარაგების სისტემებში, ავტომატიზებული მართვის სისტემების ფუნქციონირების პირობებში.

სამუშაოს სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, საერთო დახასიათების, ექვსი თავის, 75 დასახელების ლიტერატურული წყაროსა და დასკვნისა და რეკომენდაციისაგან. ძირითადი ტექსტი 170 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდია, მათ შორის 12 ნახაზი, 23 სურათი, 3 ანალიზი, 2 დიაგრამა და 25 ცხრილია.

თავი 1. წყალმომარაგების სისტემების მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის პროცესის კვლევა და დახასიათება

საქართველოს წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა / რეაბილიტაცია / ექსპლუატაციაზე სხვადასხვა კომპანიები ზრუნავენ.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP) წამყვანი კომპანიაა საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე. კომპანია თბილისის მოსახლეობას, სახელმწიფო დაწესებულებებს, სამრეწველო და კომერციულ ობიექტებს ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფს. [70]

შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (UWSCG), სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომლის 100% წილის მფლობელი სახელმწიფოა, ხოლო პარტნიორი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. კომპანია დაარსდა 2010 წლის 14 იანვარს, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 11 იანვრის N1-1/13 ბრძანების საფუძველზე. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურებას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ურბანული ტიპის დასახლებებისთვის, ქ. თბილისის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა. [71]

1.1 რას წარმოადგენს წყალმომარაგების სისტემა

წყალმომარაგების სისტემა წარმოადგენს საკმაოდ რთულ საინჟინრო ნაგებობათა კომპლექსს, რომლის დანიშნულებაა მიიღოს წყალი წყალმომარაგების წყაროდან, თუ საჭიროა გადაამუშაოს, ანუ გააუმჯობესოს მისი ხარისხი მომხმარებლის მოთხოვნის (რეგულირდება „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით და მისი მოთხოვნებიდან გამომდინარე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ხარისხობრივი ნორმების, ჩაშვების ლიმიტების და წყლის გამოყენების კვოტების საშუალებით.) შესაბამისად, მოახდინოს მისი ტრანსპორტირება და გადაანაწილოს

მომხმარებელთა შორის. ამ მიზნით ეწყობა წყალმიმღები ნაგებობა, გამწმენდი ნაგებობა, მილსადენები, წყლის ტრანსპორტირებისა და მომხმარებელთა შორის გასანაწილებლად, სამარაგო რეზერვუარები, სატუმბი სადგურები და სხვ. [1] [6] [7] [8]

წყალს ადამიანი მოიხმარს სხვადასხვა დანიშნულებით. ყველა სახის წყლის ხარჯი, ძირითადად შეიძლება დაყოფილ იქნეს სამ კატეგორიად: სასმელ-სამეურნეო, სამრეწველო და ხანძარსაწინააღმდეგო. [72] [73]

პირველ კატეგორიაში შედის ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ყოფაცხოვრებასთან, კერძოდ, წყურვილის მოსაკლავად, საკვების მოსამზადებლად, ჰიგიენური პირობების დაცვის თვალსაზრისით და სხვ. გარდა ამისა, ამ კატეგორიას განეკუთვნება ხარჯი, რომელსაც ადგილი აქვს ადმინისტრაციულ, კომუნალურ, კულტურულ - საგანმანათლებლო, სამკურნალო, სპორტულ და სხვა ორგანიზაცია - დაწესებულებაში. ამავე კატეგორიას ეკუთვნის წყლის ის რაოდენობა, რომელიც იხარჯება ქუჩებისა და ნარგავების მოსარწყავად.

მეორე კატეგორიაში გაერთიანებულია სამრეწველო საწარმოების ტექნოლოგიური მიზნებისთვის საჭირო წყლის ხარჯი. მაგალითად წყალი, რომელიც იხარჯება პროდუქციის დასამზადებლად, ნედლეულის გასარეხად, დანადგარის გასაგრილებლად, ორთქლის წარმოების მიზნით და სხვა.

მესამე კატეგორიის წყლის ხარჯი, როგორც ეს თვით დაასახელებიდან ჩანს, გამიზნულია ხანძრის ჩასაქრობად და იგი ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ამიტომ ამ კატეგორიის ხარჯი წყლის საერთო რაოდენობაზე გავლენას არ ახდენს. იგი ხანძრის მომენტში მოქმედებს ქსელის მუშაობის ჰიდრავლიკურ პარამეტრებზე.

როგორც წესი, სასმელ-სამეურნეო წყლის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები გაცილებით მკაცრია, ვიდრე სამრეწველო - საწარმოს ტექნიკური მიზნებისთვის საჭირო წყლისადმი, თუმცა კვების

მრეწველობის ობიექტებზე გამოყენებული წყალი უნდა პასუხობდეს საქართველოში არსებულ, მოქმედ სტანდარტს.

1.2 დედაქალაქის წყალმომარაგება

დედაქალაქის წყალმომარაგება შედგება ოთხი ძირითადი

საფეხურისაგან:

- წყალაღება
- წყლის ხარისხის სტანდარტამდე დაყვანა
- წყლის ტრანსპორტირება
- მომხმარებლებზე განაწილება.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, არსებობს წყალმომარაგების ორი ტიპის წყარო, ესენია მიწისქვეშა და ზედაპირული. ნედლი წყლის ხარისხის გამო, პრიორიტეტულია მიწისქვეშა წყალაღება.

თბილისის წყალმომარაგების სისტემაში ორივე ტიპს წყალაღება გამოიყენება. მიწისქვეშა წყლების მიღება ხდება მდინარე არაგვის ხეობაში, ხოლო ზედაპირული წყალაღება ხორციელდება ჟინვალის წყალსაცავიდან და, ნაწილობრივ, თბილისის ზღვიდანაც (სარეზერვო დანიშნულება), ღრმადელესა და სამგორის სათავო ნაგებობების საშუალებით.

წყლის ხარისხის სტანდარტამდე დაყვანის შემდეგ ხდება მისი ტრანსპორტირება და დაგროვება სარეგულაციო რეზერვუარებში. დედაქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია 300 000 მ² ტევადობის რეზერვუარი, მძლავრი სატუმბო სადგურები, ადგილობრივი წნევის მარეგულირებელი სადგურები და წნევის რეგულატორები, რომელთა საშუალებით, თბილისის მასშტაბით, სასმელი წყლის ნაკადებისა და წყლის წნევის რეგულირება ხდება.

დედაქალაქში შემოსული წყალი გადის დამუშავება-ფილტრაციის სრულ ციკლს და წყალსადენის 3000 კმ-იანი ქსელით უბნებზე ნაწილდება, საიდანაც, უშუალოდ მომხმარებელთა ონკანებამდე მის მიწოდებას 1000 ტუმბო უზრუნველყოფს. [70]

ქსელი და განაწილების სისტემა

თბილისის წყალსადენის ქსელის სიგრძე, დიამეტრით 13 მმ-დან და 1400 მმ-მდე, თითქმის 3000 კმ-ია. ქსელების განშტოებები, უმეტესად, მოწყობილია ფოლადის მილებით. წყალდენების და მაგისტრალური ქსელები თუჯისა და ფოლადის მილებით. ბოლო პერიოდში, მასიურად მიმდინარეობს მაღალი ხარისხის პოლიეთილენის მილების მონტაჟი. [70]


ქსელების მოწყობას, რამაც ქალაქში წყლის რაციონალურად განაწილება უნდა უზრუნველყოს, კომპანიის მხრიდან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თბილისისთვის დამახასიათებელი მთაგორიანი რელიეფის გამო, მის უდაბლეს და უმაღლეს ნიშნულებს შორის სხვაობა 1000 მეტრამდე აღწევს, ამიტომ, თბილისის წყალსადენის ქსელები 5 ვერტიკალური ზონისგან შედგება. [70]

რეზერვუარები და სატუმბო სადგურები

თბილისის სტაბილური წყალმომარაგებისთვის ქალაქის სხვადასხვა რაიონში და სხვადასხვა ნიშნულზე, 35 ადგილზე, 86 სამარაგო რეზერვუარია განთავსებული (საერთო მოცულობით 317 000 მ³).

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" ექსპლუატაციას უწევს 141 ადგილობრივ წნევის გამაძლიერებელ სატუმბო სადგურს, რომელშიც დამონტაჟებულია 4 კვტ-დან 75 კვტ-მდე ძრავები. ამჟამად, 70 სატუმბო სადგური მთლიანად რეაბილიტირებულია და აღჭურვილია უახლესი ტიპის ავტომატური მართვის ტუმბო-აგრეგატებით, დანარჩენის რეკონსტრუქცია კი გეგმურად მიმდინარეობს. [70]

ქ. თბილისის
წყალსადენის
სიტუაციური სქემა
(ნაბაზი #1)



1.3 რეგიონების წყალმომარაგება

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ამჟამად ოპერირებს საქართველოს 57 ქალაქსა და 315 სოფელს უწევს. გარდა ამ სოფლებისა, არსებობს 3 500 სოფელი, სადაც კომპანია არ ოპერირებს. ეს არის საკმაოდ საინტერესო და მძიმე თემა. საჭიროა შეიქმნას ამ ადგილებში სტატეგია წყალმომარაგების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. კომპანიის საქმიანობა უკავშირდება წყლის მოპოვებასა და მომხმარებელამდე სტაბილურად მიწოდებას. გარდა ამისა, საქმიანობაში შედის არსებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოვლა-პატრონობა, ასევე წყლის ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ასევე საინტერესო თემა გახლავთ ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ბოლო ტენდენციებიდან გამომდინარე ძალიან აქტუალური გახდა. ენერგოეფექტურობაში იგულისხმება არსებულ ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს წყალმომარაგება-წყალარინების სისტემებსა და წყალარინების გამწმენდ ნაგებობებს. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის განვითარება გულისხმობს მოსახლეობის 24-საათიან ხარისხიან წყალმომარაგებას. [71]

მეორე აქტუალური საკითხს წყალარინების ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. ქვეყნის მასშტაბით საკანალიზაციო ქსელი, განსაკუთრებით ქალაქებში ძალიან მოძველებული და ამორტიზებულია, რადგან ათეული წლებია მათი მასშტაბური რეაბილიტაცია არ მომხდარა. ევროკავშირის ახალი სტანდარტებით უნდა უზრუნველყოთ ამ სისტემების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობა, რეგულაციების მიხედვით აუცილებლად უნდა არსებობდეს გამწმენდი ნაგებობები ქვეყანაში და დღეს, საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება ამ ნაგებობების მშენებლობაზე. [6] [7] [8] [71]

მიუხედავდ იმისა, რომ ქვეყანაში საკმაოდ მასშტაბური პროექტები მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით სასმელი წყლის პრობლემა კვლავ მთავარ გამოწვევად გვრჩება რეგიონებში. [71]

რაც შეეხება გამოწვევებს, გამოწვევები ძალიან ბევრია. ერთ-ერთი გამოწვევად დგას სასმელი წყლის არარაციონალურად გამოყენება. ჩვენ არ ვუფრთხილდებით ისეთ სიმდიდრეს, როგორც არის წყლის რესურსი და არაყაირათიანად ვხარჯავთ მას აგრარული მიზნებისთვის. დღეს, წყალი საკმაოდ ძვირი სიამოვნება გახდა, როგორც თავისი არსებობით, ისე ინფრასტრუქტურის მოწყობითაც. იშვიათად ნახავთ ქვეყანას, სადაც ასე არარაციონალურად იღვრებოდეს წყალი თუნდაც ონკანებიდან. კიდევ ერთი გამოწვევა, ეს არის პროფესიონალი და გამოცდილი კადრების არარსებობა ამ სფეროში, რომელიც შეძლებდა მაღალი ტექნოლოგიების მქონე პროექტების ოპერირებას. ეს არ არის ადვილი თემა და ამ კუთხით საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე დგას ქვეყანა. [71]

მესამე მნიშვნელოვანი მიმართულება გახლავთ ენერგოეფექტურობა. მსოფლიოში, ბოლო დროს იმატა ტენდენციამ, რომ ყველაფერი ენერგოეფექტური გახდეს, რაც გვამლევს ნაკლებ ელექტროხარჯთან დაკავშირებულ შედეგებს. [71]

თუმცა, უმთავრესი გამოწვევად მაინც გვჩება ჩვენი თანამოქალაქეების სტაბილური სასმელი წყლით უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, ჯერ კიდევ არის ბევრი ადგილი და სოფელი, სადაც წყლის პრობლემები აქტუალურია. არა თუ სოფლები, არსებობს ქალაქებიც კი, სადაც დღის განმავლობაში მოსახლეობა წყალს 2-3 საათის განმავლობაში იღებს წყალს. [71]

საჭიროა გაკეთდეს შესწავლითი პროგრამა, რომელიც გვაჩვენებს, რა გვაქვს წყლის რესურსების მიმართულებით - გავიგებთ საერთოდ როგორია მოხმარების სტატისტიკა, რა არის წყლის საფასური და როგორ უნდა მივიღეს აბონენტამდე. გამომდინარე იქედან, რომ ინფრასტრუქტურის შექმნა და მოწყობა საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, სოფლებში შესაძლოა ადგილობრივი პროექტები განხორციელდეს, რომელიც მოიცავს პატარა საქლორატოროს, ჭაბურღილებს და მოემსახურება რამდენიმე მუნიციპალიტეტს. [71]


თავი 2. საქართველოს წყლის რესურსები

მტკნარი წყლის რესურსები საქართველოს ერთ-ერთ ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენენ. საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ხასიათი, უხვი ატმოსფერული ნალექები, განსაკუთრებით შავი ზღვის აუზში, განაპირობებენ იმას, რომ მის ტერიტორიაზე ერთი წლის განმავლობაში ფორმირებული მტკნარი წყლის ფენის საშუალო სიმაღლით, საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის. [74]


მთლიანად საქართველოს მტკნარი წყლის რესურსები წარმოდგენილია მდინარის ჩამონადენის ზედაპირული და მიწისქვეშა მდგენელებით. მიწისქვეშა წყლებით, რომლებიც არ მონაწილეობდნენ მდინარის ჩამონადენში და უშუალოდ ხვდებიან ზღვაში. მყინვარების, ტბების, ჭაობების და წყალსაცავების წყლები, რომლებიც ნაწილობრივად მონაწილეობენ მდინარის ჩამონადენის ფორმირებაში. [74]

წყლის რესურსები (დიაგრამა #1)

წყლის რესურსები [74]



საქართველოს რესპუბლიკის სქემატური რუკა მინერალური წყაროების დატანით



ბარობითი აღნიშვნები

- - ქალაქში რადიკურები და დაბუკი კონკრეტული ცენტრული წყაროები
- ⊙ - ქალაქში დაბუკი და ხოლდები რადიკალური წყაროები
- (N) - მინერალური წყაროები მთლიანად რადიკალური წყაროები
- ⊙ (N) - მინერალური წყაროები მთლიანად რადიკალური წყაროები
- - ქალაქის საზღვარში წყაროები
- - ქალაქის საზღვარში წყაროები

შენიშვნა:

1. (N) - მთლიანად წყაროების წყაროები
2. მინერალური წყაროების საფუძვლად რადიკალური წყაროების

რუკა შედგენილია საქართველოს სსრ კაუჭურთების ო. კონსტრუქციის ინსტიტუტის მიერ
კურორტოლოგიის და ფიზიოტერაპიის სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტის
და კონსტრუქციის ინსტიტუტის მიერ. მსკ. 1969 წ. აბაშა

მინერალური წყაროების აღწერები დატანილია გეოლოგიის ინსტიტუტის მიერ
გეოლოგიის ინსტიტუტის მიერ. მსკ. 1970 წ. მოსკო
Главный редактор А.В. Сидоренко. Редактор тома Н.М. Буяничев

საქართველოს სქემატური რუკა მინერალური წყაროების დატანით
(ნახაზი #2)

2.1 მდინარეების ზოგადი დახასიათება და ჰიდროგრაფიული ქსელის თავისებურებანი

საქართველოში 26060 მდინარეა და მათი საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათას კმს შეადგენს აქედან შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება 18109 მდინარე, ხოლო კასპიის ზღვის აუზს - 7951, რაც საქართველოს მდინარეთა საერთო რაოდენობის 30%-ს შეადგენს. საქართველოს მდინარეთა დიდი ნაწილი მთის მდინარის ტიპს მიეკუთვნება. აქ რელიეფის ზედაპირის დიდი დანაწევრების შედეგად არ გვხვდება დიდი სიგრძისა და აუზის დიდი ფართობის მქონე მდინარეები. მდინარეთა საშუალო სიგრძე 2,3 კმ-ია. [74]

მდინარის კატეგორია

ცხრილი #1

რეგიონი	ფართობი ათასი კმ ²	მდინარის კატეგორია									
		ძალიან მცირე		მცირე		საშუალო		დიდი	ძალიან დიდი	სულ	
		<10	10-25	26-50	51 -100	101-200	201-300	301-500	501-1000		<1001
დასავლეთ საქართველო	32,42	17794	242	48	16	6	1	2			18109
აღმოსავლეთ საქართველო	34,67	6817	296	64	12	1	1	2		1	7194
კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობი	2,61	745	11	1							757
სულ	69,7	25356	549	113	28	7	2	4		1	26060

რეგიონი	ფართობი ათასი კმ ²	მდინარეთა ჯამური სიგრძე, კმ									
		ძალიან მცირე		მცირე		საშუალო			დიდი	ძალიან დიდი	სულ
		<10	10-25	26-50	51 -100	101-200	201-300	301-500	501-1000	<1001	
დასავლეთ საქართველო	32,42	27100	3780	1703	1020	799	221	352			35042
აღმოსავლეთ საქართველო	34,67	14816	3566	2177	812	99	201	671		1364	23696
კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობი	2,61	1010	152	31							1193
სულ	69,7	42992	7488	3911	1832	898	422	1024		1384*	59931

	სამშენებლო ბლოკები	μგ/ლ	1014	973	947
ულტრ აფილტრ	DOC	μგ/ლ	6.6	6.5	5.6
	ბიო- პოლიმერები	μგ/ლ	747	789	167

	ჰუმუსური ნივთიერებები	µგ/ლ	1931	1957	1690
	სამშენებლო ბლოკები	µგ/ლ	953	957	915

5.17 შედარება

რვავე მაგალითის შედარება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ გამტარიანობის სტაბილურობას ან ტრანს მემბრანული წნევას, არამედ მთლიანი საოპერაციო ხარჯებს. რეაგენტებისა და ენერჯის მოხმარების გაანგარიშებისათვის ფასები მოცემულია ცხრილი 24-ში და გაანგარიშება მოცემულია ცხრილში 25. რეაგენტებად განიხილებოდა კოგულანტი, რომლებიც გამოვიყენეთ უკუგამორეცხვისას და ადგილზე ქიმიური გამორეცხვისას, მაგრამ არა ის, რომელიც წელიწადში ერთხელ ხორციელდება და შესაბამისად, ხარჯზე უმნიშვნელო გავლენას ახდენს. დენის გაანგარიშება ითვალისწინებს ენერჯის მოხმარებას ტუმბოებისთვის (კვებისა და უკუგამორეცხვისთვის). [33] [34] [35] [36]

ფასები, რაც გამოყენებულია მთლიანი საანგარიშო ხარჯების დასადგენად ცხრილი 24

დასახელება	ფასი
კოაგულანტი	73 €cent/kg
მჟავა	42 €cent/kg
კაუსტიკა	50 €cent/kg
ქლორი	52 €cent/kg
ძაბვა	12.9 €cent/kWh

საერთო საოპერაციო ხარჯები არ იქნება ისეთივე დაბალი, როგორც წყვეტილი ოპერაციისას, კოაგულანტის ხარჯის გამო.

მთლიანი საანგარიშო ხარჯები


ცხრილი 25

ტესტები		დოზირება მგ/ლ	Al	უკუგამორეცხვი სას მგ/ლ Cl ₂	ნივთიერებები €cent/მ ³	მომსახურება € cent/მ ³	სულ €cent/მ ³
I	კოაგულანტი დოზირებისას	უწყვეტად კოაგულანტი დოზირებისას	5	Nil	10.88	0.3	11.18
	დოზირებისას	წყვეტილად კოაგულანტი დოზირებისას	5	Nil	1.5	0.35	1.85
II	ქლორირებული უკუგამორეცხვა	კოაგულანტის გარეშე	Nil	150	0.27	0.2	0.47
		კოაგულანტის გარეშე	Nil	50	0.23	0.44	0.67
III	ქვიშის ფილტრით	კოაგულანტი დოზირება ქვიშის ფილტრამდე	3	Nil	6.46	0.41	6.87
			5	Nil	10.47	0.27	10.74
		კოაგულანტი დოზირება ულტრაფილტრაციამდე	3	Nil	6.04	0.41	6.45
			5	Nil	10.47	0.48	10.95

ქლორირებული უკუგამორეცხვის ტესტირებისას ენერჯის ხარჯები არის მაღალი, რადგან მაღალია ტრანს მემბრანული წნევა. ნაკლები დოზის ქლორს არ შეუძლია ამ შემთხვევების ნეიტრალიზება. საჭიროა გავაცნობიეროთ და გადავწყვიტოთ საჭიროა თუ არა ამდენი ქიმიური და ენერჯო დანახარჯები ოპერირებისთვის.

როგორც შედეგებით ვხედავთ (სურათი 22), ყველაზე დაბალი მთლიანი საანგარიშო ხარჯები მიღწეულია როდესაც ულტრაფილტრაციის მემბრანები მუშაობენ ქლორირებით უკუგამორეცხვაზე. ამ გამოსავლის შემცირება ხდება შთანთქმული ორგანული ჰალოგენი ნაერთების

ფორმირებაში, ულტრაფილტრაციაში უკუგამორეცხვა კოაგულანტის დამატებით საუკეთესო გამოსავალია და ხარჯებს 3-6 მდე ამცირებს.



სურათი 22

5.18 დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ყველა ჩატარებული ტესტი და გამოცდილი პროცესი გვაჩვენებს სტაბილურ ოპერირებას ერთიდაიგივე პარამეტრების დროს. განსხვავება მხოლოდ ტრანს მემბრანულ წნევაში, გამტარუნარიანობასა და საოპერაციო ხარჯებშია. რაც ასევე დამოკიდებულია კოაგულანტის რაოდენობასთან, ქლორთან და სხვა ქიმიკატებთან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არის აუცილებელი ქვიშის ფილტრის გამოყენება წინასწარი გაწმენდისთვის თუკი შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია მისაღებია ულტრაფილტრაციისთვის. იმ შემთხვევისთვის კი, თუ ქვიშის ფილტრი ხელმისაწვდომია კოაგულანტით დოზირება პრიორიტეტულია ულტრაფილტრაციისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ დიდი რაოდენობით ავტომატური ქიმიური უკუგამორეცხვა.

ქვიშის ფილტრისგან განხვავებით, ულტრაფრაციის დახმარებით, ორგანული ნივთიერებების მაღალი მაჩვენებლის მიღება შესაძლებელია მიღწეული იქნას. ეს ფაქტი დადასტურდა სპეციალურად თხევადი ქრომატოგრაფიული ანალიზით, რომელიც ჩატარებული იყო ამ ტესტირებებამდე - ქვიშის ფილტრის კოაგულანტით დოზირებით და ულტრაფილტრაციის კოაგულანტით დოზირებისას.

თუკი კოაგულანტით დოზირება შეუძლებელია, ქლორირებით უკუგამორეცხვას შეუძლია ასეთივე შედეგის მიღწევა მსგავსი საოპერაციო პარამეტრებისას.

საუკეთესო გადაწყვეტილებას წარმოადგენს ულტრაფილტრაცია კოაგულანტით დოზირებისას. რაც ასევე ხარჯებს ამცირებს 3-6მდე.

თავი 6. კურორტ აბასთუმნის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის სათავე „ვარატა“-ს რეაბილიტაცია საინჟინრო-ისტორიული ნაგებობის შენარჩუნების მიზნით

წიწვოვანი ტყით დაფარული მესხეთის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს ცნობილი კლიმატურ ბალნეოლოგიური კურორტი აბასთუმანი, რომლის კლიმატი უებარი საშუალებაა ფილტვების დაავადებათა პროფილაქტიკისთვის. განსაკუთრებით სასარგებლოა გაზაფხულის სეზონი, როდესაც ფიჭვი დამტვერვას იწყებს. კურორტის ძირითადი სამკურნალო ფაქტორის - კლიმატის გარდა, აბასთუმანი განთქმულია ჰიპერთერმული, სუსტად მინერალიზებული წყაროებით (გოლიათის წყარო – 48.5°C, გველის წყარო - 42°C, სურავანდის წყარო - 39°C), რომლთა საერთო დებიტია 1 მლნ ლიტრი დღე-ღამეში. მინერალური წყლები არა ერთი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. ახლანდელი კურორტის ადგილას ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ოძრხე. ის ძველთაგანვე ყოფილა განთქმული სამკურნალო წყლებით. ქართველი გეოგრაფის, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, XVII ს-ის დასაწყისიდან, როდესაც ოძრხეში თურქები გაბატონდნენ, იქაურობას ცხელი მინერალური წყლების გამო ჩემიკ-ბო-ლაზს ეძახდნენ (ჩემიკ - თბილი, ბოლაზ - ხეობა). დღევანდელი სახელწოდება კი, სავარაუდოდ, ადგილობრივი თავადების აბაზასძეების გვარს უკავშირდება. აბასთუმნის თერმული სამკურნალო წყლების მეცნიერული შესწავლა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. პარალელურად, საფუძველი ჩაეყარა ფტიზიატრიული კურორტის მშენებლობას. საკურორტო გეგმის შემუშავებასა და მის ხორცშესხმაში დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის გუბერნიის მინერალური წყლების სამმართველოს უფროსს, ექიმ ადოლფ რემერტს, რომლის სახელს უკავშირდება კურორტ წადვერის აღმოჩენაც. XIX საუკუნის ბოლოს აბასთუმანში ფილტვების მძიმე დაავადების სამკურნალოდ რუსეთის დიდი მთავარი, გიორგი ალექსანდრეს ძე რომანოვი დასახლდა. საგანგებოდ

მეფის წულისთვის აშენდა სამკურნალო თერმული წყლების აბანო და სასახლე, სადაც მოგვიანებით სანატორიუმი მესხეთი ფუნქციონირებდა, ხოლო 1994 წლიდან წმ. პანტელეიმონის დედათა მონასტერმა დაიღო ბინა. მეფის წულის სურვილის თანახმად, 1896-1899 წლებში აბასთუმანში აიგო წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაც, რომელიც VIII-IX სს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის, ზარზმის პროტოტიპს წარმოადგენს, ამიტომაც მას ახალი ზარზმა უწოდეს. ეკლესია 1902-04 წლებში ცნობილმა რუსმა მხატვარმა მიხაილ ნესტეროვმა მოხატა.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია მთა ყანობილზე. ზღვის დონიდან 1650 მ, აბასთუმნიდან 8 კმ-ში. დაარსდა 1932 წელს პროფესორ ევგენი ხარაძის თაოსნობით. ის პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. ობსერვატორიის ისტორია XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო: ასტრონომიით გატაცებულმა მეფისწულმა, გიორგი რომანოვმა, აბასთუმანში თავისი მეგობარი, ასტრონომი და პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი სერგეი გლაზენაპი მიიწვია. გიორგის სასახლის მახლობლად პატარა გუმბათი ააგეს და გლაზენაპის პეტერბურგიდან ჩამოტანილი ტელესკოპი ამ ნაგებობაში მოათავსეს. ასე ჩაუყარეს საფუძველი დიდმა მთავარმა და გლაზენაპმა ღამღამობით აბასთუმნის ცაზე პირველ ასტრონომიულ დაკვირვებებს. 1935 წელს ობსერვატორიის თანამშრომლების მიერ აღმოჩენილ ერთ-ერთ მცირე ცთომილს (#1390) აბასთუმანი ეწოდება.

მდებარეობა: მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედის სამხრეთი ფერდობი, მდ. ოცხის ხეობა.

მანძილი: ადიგენიდან – 25 კმ, ახალციხიდან – 28 კმ, თბილისიდან – 240 კმ.

სიმაღლე ზღვის დონიდან: 1250-1450 მ.

რელიეფი: მთაგორიანი.

კლიმატი: საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურა -6C.

თოვლის საფარი მდგრადი, შუა დეკემბრიდან მარტის თვის მეორე დეკადის ბოლომდე. ზაფხული ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 16C.

ნალექების წლიური რაოდენობა: 688 მმ.

ჰაერის საშ. წლიური ფარდობითი ტენიანობა: 77%.

მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში: 1967 სთ.


ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის რბილი ჰავა და თერმული, კაჟიანი, სულფატურ-ქლორიდულ, კალციუმთან ნატრიუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,6 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატო თერაპია, მინერალური წყლის აბაზანები.

სამკურნალო ჩვენებები: ფილტვების ტუბერკულოზი განვითარების ყველა ფაზაში, პნევმო-პლევრიტისა და ლიმფადენიტის ქრონიკული და მწვავე ფორმები; ძვალ სახსართა და პერიფერიული ნერვული სისტემების, გინეკოლოგიური დაავადებები.

ღირსშესანიშნაობები

- ✚ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია
- ✚ XIX საუკუნის აბასთუმნის პარკი
- ✚ ეკლესია “ახალი ზარზმა” (1899-1902).
- ✚ „თამარის ციხე“ (IX- XI სს.)
- ✚ „მელნისის ციხე” (განვით. შუა საუკუნეები)
- ✚ „თამარის ხიდი" მდინარე ოცხეზე (IX- XI სს.)
- ✚ სამონასტრო კომპლექსი (განვით. შუა საუკუნეები)
- ✚ „მახვილოს ციხე” (განვით. შუა საუკუნეები)
- ✚ ეკლესია (XIX საუკუნე)



ოდრხე (სურათი #17)

6.1 არსებული მდგომარეობა

დაბა აბასთუმნის წყალმომარაგება ხდება ორი სათავის მეშვეობით.

პირველი „ვარატას“ წყალმიმღები, ამ წყალმიმღებთან მთის ფერდზე მოწყობილია წყაროს საკაპტაჟე ნაგებობა, არსებული ერთი წყალმიმღები ფართია და წყალშემკრებით. თვითდენითი არსებული მილდენით d=200 მმ თუჯის მილით, წყალს აწვდის არსებულ სუფთა წყლის ავარიულ რეზერვუარს, ტევადობით V=800 მ³, ამ რეზერვუარიდან წყალი თვითდინებით მიეწოდება დაბა აბასთუმნის წყალსადენის გამანაწილებელ ქსელს - შემდგომ მომხმარებლებს. [26]

„ვარატას“ სათავე მოწყობილია დაახლოებით 150 წლის წინ და საჭიროებს რეაბილიტაციას.

არსებული მეორე წყალმიმღები, რომელიც მოწყობილია „ბართისხევის“ წყალზე არის მარტივი ტიპის და გამოიყენება მხოლოდ წყალმცირეობის დროს, ამ დროს „ბართისხევის“ წყალს მექანიზმით

გადაადგენენ წყლის ნაკადის მიმართვის წყალმიმღებზე. მიღებული წყალი არსებული ფოლადის, ცვალებადი დიამეტრის $d=200-250$ მმ თვითდენითი მილდენით უერთდება თუჯის მილს, აქედან კი არსებული მილდენით უერთდება ხსწნზულ რეზერვუარს. [24] [25] [29]

„ბართისხევის“ სათავე „ვარატას“ სათავის აღდგენის შემდეგ დარჩება სარეზერვო წყალმიმღებად.

წყალმომარაგების ქსელის მოწყობა ხორციელდება კურორტ აბასთუმანში - რომელიც ბუნებრივი რელიეფური მდებარეობიდან გამომდინარე წყალმომარაგების ქსელში ჭარბი წნევების თავიდან აცილების მიზნით დაყოფილია სამ ზონად, ხოლო სოფ. ალობილის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა გათვალისწინებულია სატუმბი სადგურის საშუალებით.

წყალმიმღებ ნაგებობად გათვალისწინებულია არსებული „ვარატას“ წყალმიმღები ნაგებობა. [14]

ვარატას წყალმიმღები (სურათი #18)



ვარატას წყალმიმღები (სურათი #19)



ვარატას წყალმიმღები (სურათი #20)



6.2 გადაწყვეტილება

ტერიტორიის შესწავლის შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი:

„ვარატას“ სათავეზე რომელიც განთავსებულია ზღვის დონიდან 1440 მ. სიმაღლეზე არსებულ ჩამკეტი ფარი შესაცვლელია, ხოლო წინა კედელს ესაჭიროება გამარება.

წყალმიმღებამდე მოსაწყობია წყალამრიდი ორი ჩამკეტი ფარით.

არსებული „ვარატას“ წყალმიმღები რომელიც განთავსებულია ზღვის დონიდან 1430მ. საჭიროებს როგორც ტექნოლოგიური ასევე სამშენებლო ნაწილის რეაბილიტაციას. [20]

მისასვლელი გზა საჭიროებს გაწმენდას ექსკავატორით (კოდალით) (ლოდია ჩამოვარდნილი დაახლოებით 20 მ3. მოცულობით).

კვლევისას შეირჩა გამწმენდი ნაგებობის ტიპი და ადგილმდებარეობა დაახლოებით 1400 მ. სიმაღლეზე. (ჰიდროციკლონი - ბადურა ფილტრი - ულტრაფილტრაცია - შერეული ოქსიდანტებით გაუსნებოვნება, დაქლორვა).

რელიეფიდან გამომდინარე ჭარბი წნევების თავიდან აცილების მიზნით წყალმომარაგების ქსელის მოწყობა ხორციელდება ზონების მიხედვით - ჰიდრავლიკური გაანგარიშების საფუძველზე. [14] [17] [18] [66] [67] [68] [69]

გამწმენდი ნაგებობიდან საქლორატოროს გავლით წყალი მიეწოდება კვლევით გათვალისწინებულ ორ, საერთო მოცულობით $V=800$ მ3 რეზერვუარებს. [55] [56] [57] [58] [59]

აღნიშნული რეზერვუარებიდან წყალმომარაგება უნდა განხორციელდეს ორი დამხარჯი მაგისტრალით:

- ა. პირველი ზონის მკვებავი;
- ბ. ალობილის მკვებავი; მეორე და მესამე ზონების რეზერვუარების მკვებავი;

მეორე ზონის მოსამარაგებლად კვლევით გათვალისწინებულია არსებული რეზერვუარების ტექნოლოგიური და სამშენებლო ნაწილის რეაბილიტაცია. [17] [18] [60] [61]

დამატებით ეწყობა ორი, საერთო მოცულობით $V=800$ მ³ მოცულობის რეზერვუარი მესამე ზონის მოსამარაგებლად.

„რედიქსის“ საკუთრებაში არსებული $V=250$ მ³ რეზერვუარი საჭიროებს სრული რეაბილიტაცია.

არსებულ $V=2*250$ მ³ (ნიკოლოზის) რეზერვუარზე კვლევის პროცესში განხორციელდა მისი მდგრადობის დადგენა, დასკვნის შემდეგ იგი საჭიროებს სრული რეაბილიტაცია.


აღობილის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის შეირჩეა ქვემოთ მოყვანილი ტუმბოები და ავტომატური მართვის სისტემა. [14]

აღობილის ტერიტორიაზე არსებულ რეზერვუარს ასევე სჭირდება სრული რეაბილიტაცია.


ყველა რეზერვუარი საჭიროებს ღობეს, საშიბერო კამერას, საყარაულო ჯიხურისა და ბიო ტუალეტს.

წინამდებარე კვლევით დამუშავებულია დასახლების წყალსადენის გამანაწილებელი ქსელი. ქსელის გასაანგარიშებლად გამოყენებულია ხარჯები საანგარიშო ცხრილებიდან, რომლის მიხედვითაც საანგარიშო მაქსიმალური ხარჯი $q_{მაქს}= 64$ ლ/წმ და ხანძარი $q_{სახ}=10$ ლ/წმ ოდენობით. [6] [8] [18] [19] [55] [66] [67] [61]

ტოპოგრაფიული რუკა; კურორტი აბასთუმანი (სურათი #21)



კურორტ აბასთუმნის კვლევითი გადაწყვეტილება (ნახაზი #4)



წყლის სინჯის რეპორტი - სათავე „ვარატა“ #1

წყლის სინჯის რეპორტი - სათავე „ვარატა“ #2

სინჯის აღების თარიღი: 10.05.2016 წ.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ლაბორატორია

აბასთუმნის წყალსადენი „ვარატის“ სათავე ნედლი წყალი

გამოკვლევის ნორმატიული დოკუმენტი "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი"
2014წ. 15 იანვარი

№	მაჩვენებლები	საზომი ერთეული	ნორმატივი არა უმეტეს	გამოკვლევის შედეგი
1	2	3	4	5
ორგანოლექტიკური				
1.	სუნი 20 ⁰ C 60 ⁰	ბალი	2	0
2	გემო	ბალი	2	0
3	ფერი	გრადუსი	15	
4	წყლის ტემპერატურა	გრადუსი		
5	სიმღვრივე	FAU	3.5	5.4
6	გამჭვირვალობა	სმ	>30	20
ქიმიური				
7	წყალბადის მაჩვენებელი	PH	6 – 9	8.2
8	პერმანგანატული უანგვალობა	მგ _{O₂} /ლ	3.0	4.24
9	ქლორიდი	მგ/ლ	250	16.8
10	ნარჩენი ქლორი	მგ/ლ	0.3–0.5	0
11	ამიაკი	მგ/ლ		0.05
12	ნიტრიტი	მგ/ლ	0.2	<0.01
13	ნიტრატი	მგ/ლ	50	2.4
14	ელექტროგამტარობა	სმ		–
15	საერთო რკინა	მგ/ლ	0.3	0.05
16	სიხისტე	მგ-კმ/ლ	7–10	2.8
17	სულფატები	მგ/ლ	250	–
ბაქტერიოლოგიური				
18	მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები	კოლონიების წარმოქმნელი ერთეული 1მლ-ში 37 ⁰ 22 ⁰	20	48
19	საერთო კოლიფორმული ბაქტერიები	ბაქტერიების რაოდენობა 300 მლ-ში	არ დაიშვება	ფიქსირდება
20	E.Coli	ბაქტერიების რაოდენობა 300 მლ-ში	არ დაიშვება	არ ფიქსირდება

რეგიონული ფილიალის ლაბორატორიის მთავარი სპეციალისტი:  /ი.ჯვარიძე/

წყლის სინჯის რეპორტი - სათავე „ვარატა“ #3

ყოველდღიური სინჯის რეპორტი

Page 1 of 1

სინჯის აღების თარიღი	ნიმუშის/სინჯის აღების მიზანი	რეგიონი	სერვისცენტრი	მისამართი	ლაბორატორია	სასმელი წყლის სახეობა	ოქმის #
15.06.2016 0:00:00	გამზორციელდა დაკლარვა სათავეზე არსებულ წყალმიღებრიდან	სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	ადიგენის სერვის ცენტრი	ადიგენი - ვარატა - სათავე წაგებონა	რეგიონული ფილიალი	გამომცემელი (გაწმენდილი) წყალი	32-999/16

#	მაჩვენებლები	საზომი ერთეული	ნორმატივი	გამოკვლევის შედეგი	შენიშვნა
ორგანოლეპტიკური					
1	სუნი	ბალი	2	0	
2					
3	გემო	ბალი	2	0	
4	ფერი	გრადუსი	15	0	
5	სიმღვრივე	FTU	3,5	3,5°	
6	გამჭვირვალობა	სანტიმეტრი	30	30	
ფიზიკურ - ქიმიური					
7	წყალბადის მაჩვენებელი	PH	9	8,2	
8	პერმანგანატული ემგვადობა	მგ/ლ	3.0	1,68	
9	ქლორიდი	მგ/ლ	250	12,6	
10	ნარჩენი ქლორი (ქველნი)	მგ/ლ	0.2-0.3		
11	ნარჩენი ქლორი (სათავეზე)	მგ/ლ	0.3-1.0	0,76	
12	სულფატები	მგ/ლ	250		
13	ამონიუმის იონი	მგ/ლ	1	0,05	
14	ნიტრიტი	მგ/ლ	0.2	0,01	
15	ნიტრატი	მგ/ლ	50	2,1	
16	ელექტროკონდუქტუა	მს/სმ	-	0,16	
17	საერთო რკინა	მგ/ლ	0.3	0,05	
18	სიხისტე	მგ ტყვ./ლ	10	1,8	
მიკრობიოლოგიური					
19	მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები	კოლონიების წარმოქმნილი ერთეული 1 ml-ში 37°	20.0	0	
20	მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები	კოლონიების წარმოქმნილი ერთეული 1 ml-ში 22°	100.0		
21	საერთო კოლიფორმული ბაქტერიები	ბაქტერიების რაოდენობა 300 ml-ში	არ ფაიქდება	არ ფაქტირდება	
22	E.Coli	ბაქტერიების რაოდენობა 300 ml-ში	არ ფაიქდება	არ ფაქტირდება	

ლაბორატორიის თანამშრომელი: ირინა გუგუნიძე

დ. ტყეშელაშვილი

სინჯის აღების თარიღი	ნიმუშის/სინჯის აღების მიზანი	რეგიონი	სერვისცენტრი	მისამართი	ლაბორატორია	სასმელი წყლის სახეობა	ოქმის #
07.03.2017 0.00:00		სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	ადიგენის სერვის ცენტრი	ადიგენი - ვარატა - სათავე ნაგებობა	სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	ზედაპირული წყლის სათავე ნაგებობაში (ნედლი წყალი)	32-373/17

#	მაჩვენებლები	საზომი ერთეული	ნორმატივი	გამოკვლევის შედეგი	შენიშვნა
ორგანოლექტიკური					
1	სუნი	ბალი	2	0	
2	-	-	-		
3	გემო	ბალი	2	0	
4	ფერი	გრადუსი	15	0	
5	სიმღვრივე	FTU	3.5	3,6	
6	გამჭვირვალობა	სანტიმეტრი	30	29	
ფიზიკურ - ქიმიური					
7	წყალბადის მაჩვენებელი	PH	9	8,2	
8	პერმანგანატული განვადობა	მგO2/ლ	3.0	2,24	
9	ქლორიდი	მგ/ლ	250	17,3	
10	ნარჩენი ქლორი (ქსელში)	მგ/ლ	0,2-0,5	0	
11	ნარჩენი ქლორი (სათავეზე)	მგ/ლ	0,3-1,0		
12	სულფატები	მგ/ლ	250		
13	ამონიუმის იონი	მგ/ლ	1	0,05	
14	ნიტრიტი	მგ/ლ	0,2	0,01	
15	ნიტრატი	მგ/ლ	50	2,1	
16	ელექტროგამტარობა	mS/cm	-	0,3	
17	საერთო რკინა	მგ/ლ	0,3	0,05	
18	სიხისტე	მგ ექვ./ლ	10	2,8	
მიკრობიოლოგიური					
19	მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები	კოლონიების წარმოქმნელი ერთეული 1 ml-ში 37°	20.0	27	
20	მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები	კოლონიების წარმოქმნელი ერთეული 1 ml-ში 22°	100.0		
21	საერთო კოლიფორმული ბაქტერიები	ბაქტერიების რაოდენობა 300 ml-ში	არ დაიშვება	ფიქსირდება	
22	E.Coli	ბაქტერიების რაოდენობა 300 ml-ში	არ დაიშვება	არ ფიქსირდება	

ლაბორატორიის თანამშრომელი: ირინა ჯვარიძე

6.3 კურორტ აბასთუმანში და ალობილში მდებარე რეზერვუარების
მდგრადობის დადგენა

ინსპექტირების ანგარიში № FT-176/04/17-1176

შემაჯგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები	-----	3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები	-----	4
3. გამოყენებული ხელსაწყოები	-----	4
4. კვლევეთი ნაწილი	-----	5
5. დასკვნა	-----	10
დანართები		
დანართი №1	-----	11
დანართი №2	-----	16




გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთვარობის №71 დადგენილება - „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
 - ტექნიკური რეგლამენტი - „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
 - ტექნიკური რეგლამენტი - „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
 - ტექნიკური რეგლამენტი - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
 - ტექნიკური რეგლამენტი - „წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები“ (დანართი 4);
 - ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5);
2. СНиП II 21 - 75 „приложение 5“.

ს
მ
ჩ
ა
ი
მ
ს
ც
ს
ს

გამოყენებული ხელსაწყოები

- სკლერომეტრი ე.წ. „შმიდტი“-ს ჩაქუჩი “controls model 58”;
- ულტრასონოგრაფი “elcometer 10303-004”
- Nikon D3100 ციფრული ფოტოაპარატი - ვიზუალური დათვალიერების ფოტოფიქსაცია;
- ლაზერული მანძილზომი ობიექტის ზომების, ფართისა და მოცულობის აზომვა (დაკალიბრების თარიღი 16.07.2015 წელი, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო);
- საზომი რულეტი 0-5 მ, №02 (დაკალიბრების თარიღი 17.07.2015 წელი, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო) GI/MI/01-00608-15 - საზობრივი გეომეტრიული ზომების (მონაკვეთების) აზომვა;
- არმატურის საძებნი ულტრასონოგრაფი „ELCOMETER protovale 331“ №LA56366-008.



შპს "სა-ლა6 27"

განთავსებული. მისასვლელი გზის მხრიდან ჩანს რეზერვუარის კედლის მცირე ფრაგმენტი სადაც განხორციელდა ბეტონის მარკის ანათვლების აღება.



სურ. 1 საერთო ხედი



სურ. 1 საერთო ხედი

2. კურორტ ალობილში მდებარე პირველი რეზერვუარი ამჟამად არ გამოიყენება (იხ. დანართი 2 – ტოპო გეგმები რეზერვუარების მდებარეობის მითითებით).

მისი გაბარიტული ზომებია: შიდა დიამეტრი 9.05 მ, ხოლო კედლის სიმაღლე 4.30 მ-ია. რეზერვუარის შიდა ზედაპირზე 1.5-3.0 მეტრამდე სიმაღლეზე სრულად დაშლილია წყალგაუმტარი დამცავი ფენა. აქვე აღსანიშნავია, რომ რეზერვუარის არაერთგვაროვანი შიდა ზედაპირიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა ბეტონის ანათვლის აღება. რეზერვუარი განთავსებულია დახრილ რელიეფზე, რის გამოც იგი ნაწილობრივ მიწის სიდრმეშია განთავსებული, ხოლო მისი მიწის ზედა ნაწილი პერიმეტრზე ამოშენებულია ყორე ქვის წყობით, ზედაპირი კი დაფარულია მიწის სქელი ფენით.



სურ. 3 საერთო ხედი



სურ. 4 საერთო ხედი

3. კურორტ ალობილში მდებარე ცენტრალური ორივე რეზერვუარი იდენტურია (იხ. დანართი 2 – ტოპო გეგმები რეზერვუარების მდებარეობის მითითებით).


ჩვენს მიერ ინსპექტირების დროს ორივე რეზერვუარი იყო წყლით სავსე, რის გამოც ვერ განხორციელდა რეზერვუარების ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა შიდა მხრიდან. მოხდა რეზერვუარების გაბარიტული ზომების დადგენა: შიდა დიამეტრი



9.05 მეტრი, ხოლო კედლის სიმაღლე 4.30 მეტრია. რეზერვუარები განთავსებულია დანრილ რელიეფზე, რის გამოც იგი ნაწილობრივ მიწის სიდრმეშია განთავსებული, ხოლო მათი მიწის ზედა ნაწილი პერიმეტრზე ამოშენებულია ყორე ქვის წყობით, ზედაპირი კი დაფარულია მიწის სქელი ფენით. ცალკეულ ადგილებში დაშლილია ყორე ქვის წყობა და ჩანს რეზერვუარის კედელი. აღნიშნულ ადგილას განხორციელდა ბეტონის მარკის ანათვლის აღება.



სურ. 5 საერთო ხედი



სურ. 6 საერთო ხედი

რეზერვუარების ვიზუალურ-ინსტრუმენტული დათვალიერებით დადგინდა, რომ მათ მიხედვით კონსტრუქციებს არ გააჩნიათ ჯდენითი ან სხვა რაიმე შიხებით გამოწვეული დეფორმაციები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენდა ნაგებობების მდგრადობაზე.

ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნა ნაგებობების რკინაბეტონის მიხედვით კონსტრუქციებში გამოყენებული ბეტონის სიმტკიცე (ნაგებობების ინსტრუმენტალური შემოწმება ჩატარდა შერჩევის მეთოდით). გამოკვლევები ჩატარებული იქნა კვლევის ურდვევი (ასხლეტვის, ულტრაბგერითი) მეთოდების გამოყენებით, ნორმატული დოკუმენტების GOCT 22690-88 (ბეტონები, სიმტკიცის განსაზღვრა ურდვევი კონტროლის მექანიკური მეთოდებით); GOCT 7624-87 (ბეტონები, სიმტკიცის განსაზღვრის ულტრაბგერის მეთოდით); სსტ EN 12504-2, 2009 (ბეტონის გამოცდა კონსტრუქციებში, ნაწილი 2. არამრდვევი გამოცდა); სსტ EN 15504-4, 2009 (ბეტონის ტესტირება, ულტრაბგერითი იმპულსების გავრცელების სიჩქარის განსაზღვრა) და სსტ EN 10080, 2009 (ფოლადი ბეტონის არმირებისათვის) მეთოდების შესაბამისად. გამოკვლეული იქნა აღნიშნული შენობის რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის ხარისხი გამზომი ხელსაწყოების სკელეომეტრი „controls model 58“ (შმიდტის ხანიმუშო ჩაქუჩი) და ულტრაბგერის ხელსაწყო „controls – 58-0048“-ის; საშუალებებით.





სურ. 7 ბეტონის სიმკიცის ანათვლის აღება სურ. 8 ბეტონის სიმკიცის ანათვლის აღება

გამოკვლევის ჩატარება კონსტრუქციის ელემენტის 100 სმ²-დან 600 სმ²-მდე მონაკვეთზე. ასეთი მონაკვეთების რაოდენობა განისაზღვრებოდა GOCT 18105-86-ის მოთხოვნის შესაბამისად და შეადგინა კოლონებისა და რიგელებისათვის სამი საკონტროლო მონაკვეთი – გრძივი კონსტრუქციის ერთ საკონტროლო მონაკვეთს ყოველ ოთხ მეტრზე. ყოველ გამოსაკვლევ მონაკვეთზე GOCT 22690-88-ის მოთხოვნის შესაბამისად ხდებოდა არანაკლებ ხუთი-ექვსი ანათვლის აღება ისე, რომ ანათვლებს შორის მანძილი იყო 30 მმ, დაშორება კონსტრუქციის ნაპირიდან 50 მმ, ხოლო ყოველი გამოკვლეული კონსტრუქციის სისქე იყო 100 მმ-ზე მეტი.

ბეტონის ხარისხის შემოწმების სიზუსტის ამაღლების მიზნით, ნორმატული დოკუმენტის GOCT 22904-ის (ბეტონის დამცავი შრის სისქისა და არმატურის განლაგების განსაზღვრის მაგნიტური მეთოდი) მოთხოვნის შესაბამისად, ხელსაწყო ულტრასონოგრაფი „ELCOMETER 10303-004“-ის დახმარებით განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევ სვეტებში არმატურის განლაგება. სვეტებში მუშა არმატურის მდებარეობის განსაზღვრამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვეცვა GOCT 17624-87-ის პ.4.4-ის მოთხოვნა, რომლის მიხედვით ბეტონში ულტრაბგერის გავრცელების დროის განსაზღვრა საჭიროა განხორციელდეს მუშა არმატურის პერპენდიკულარული მიმართულებით, ისე რომ არჩეული ულტრაბგერის გავრცელების მიმართულებით არმატურის კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს მოცემული ფართობისა.

თითქმის ყველა გამოსაკვლევ სვეტზე გამოსახული იქნა არმატურისა და საკიდების განლაგების სქემა. ასევე ხდებოდა იმ ადგილებში ბეტონის ზედაპირის გაწმენდა საიდანაც წარმოებდა ანათვლების აღება.

ზოგადად ანათვლების აღება წარმოებდა ყოველი სვეტის ორ ან სამ მხარეს, შესაძლებლობის მიხედვით. მონაცემებით ზედა, ქვედა და შუა ნაწილებში. თითოეულ ადგილზე ანათვლების რაოდენობა შეადგენდა 6 ანათვალს. ხოლო თითოეულ სვეტში მთლიანად წარმოებდა საშუალოდ 18 ანათვლის აღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალურად იყო დაცული ნორმატული დოკუმენტის GOCT 22904-ის მოთხოვნა,



მ. 8 მ. 26. 27

დასკვნა

რეზერვუარების ვიზუალურ-ინსტრუმენტული დათვალიერებით დადგინდა, რომ მათ შიდა კონსტრუქციებს არ გააჩნიათ ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენდა ნაგებობების მდგრადობაზე. მათი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა ყველა რეზერვუარის შიდა ზედაპირზე წყალგაუმტარი ფენა დაზიანებულია, ასევე ნაწილობრივ დაშლილია მიწის ზედაპირზე ამოშენებული ყორე ქვის წყობა.

რეკომენდაციები

1. უნდა მოხდეს რეზერვუარების შიდა ზედაპირზე დაზიანებული წყალგაუმტარი ფენის აღდგენა.
2. უნდა მოხდეს რეზერვუარების მიწის ზედა ნაწილის პერიმეტრზე ამოშენებული ყორე ქვის წყობის დაშლილი ადგილების აღდგენა.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორი:

/მ. კიკნაძე /

სპეციალისტი:

/მ. კიკოლაშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი:

/მ. წიქარიშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი:

/მ. წიქარიშვილი /



კურორტ აბასთუმნის რეზერვუარები
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი





კურორტ აბასთუმნის რეზერვუარები
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი




კურორტ აბასთუმნის რეზერვუარები
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი



კურორტ აბასთუმნის რეზერვუარები
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი



კურორტ აბასთუმნის რეზერვუარები
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი





ბგ. 21 - ბგ. 216 27

კურორტ აბასთუმნის რეზერვუარები
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი







86-22-86-86 27


კურორტ ალობილის პირველი რეზერვუარი
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი





კურორტ ადობილის პირველი რეზერვუარი
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი



კურორტ ადობილის პირველი რეზერვუარი
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი:



კურორტ ალობილის ცენტრალური რეზერვუარები
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი




კურორტ ადობილის პირველი რეზერვუარი
ფოტოფიქსაცია - 13 აპრილი 2017 წელი



33 27 ბგ.ს.ს.ს.ს.


6.4 წყალმიმღები „ვარატას“ რეაბილიტაციის საპროექტო გადაწყვეტილება
 წყალმიმღები „ვარატას“ რეაბილიტაციის საპროექტო გადაწყვეტილება
 (ნახაზი #5)



წყალმიღები „ვარატას“ რეაბილიტაციის საპროექტო გადაწყვეტილება (ნახაზი #6)



**პანელი 1
Node 1**

წყალშეღწევის არხის და წყალგადაღების პრინციპული გადაწყვეტა
სასრობი არხის და წყლის მიღების მოწყობა
Water withdrawal and weir design with design grid and design sliding damper





**პანელი 3
Node 3**

არსებული კანალი, კამალი ჩამოკიდებულია
Existing node, dam with lock




**პანელი 4
Node 4**
კამალი და წყალგადაღების მოწყობის სურათი
Ladder and manifold lock



შენიშვნა:
ამ კვანძში წყალგადაღების მოწყობის სურათი და
სასრობი არხის და წყლის მიღების მოწყობის სურათი

Note:
Design anchors should be binding together with adhesive-cement solution;
Channel should be perforated with 30 mm drill.

წყალმიღები „ვარატას“ რეაბილიტაციის საპროექტო გადაწყვეტილება
(ნახაზი #7)



საჭირო ტუმბოს ტექნიკური მონაცემები

ჰორიზონტალური, მრავალსაფეხურიანი, მაღალი ეფექტურობის, მაღალი წნევის ცენტრიდანული ტუმბო ავტომატური მართვით.

ეს არის გრუნტის მაღალი წნევის ცენტრიდანული სატუმბი კომპაქტური დიზაინით, გამოყენების თვალსაზრისით ეფექტური და ადვილად მოსავლელი. მოქმედი სტანდარტის შესაბამისი უახლესი და უმაღლესი პარამეტრებით. მისი უნიკალური დიზაინი საშუალებას გვაძლევს ტუმბო შეიცვალოს დემონტაჟის გარეშე.

ტუმბოს გამოიყენება კომერციულ სოფლის მეურნეობაში, წყალსადენებში, წნევის გასაზრდელად, ხანძარსაწინააღმდეგოდ, ასევე გათბობისა და კონდიციონერების სისტემებში.

ოპერაციული პარამეტრები:

გადასაქაჩი სიღრმე	-	წყალი 100%
ხარჯი	-	20 მ ³ /სთ
დაწნევა	-	200 მ
გადასაქაჩი სიღრმის ტემპერატურა	-	20 °C
გადასაქაჩი სიღრმის მინიმალური ტემპერატურა	-	-5 °C
გადასაქაჩი სიღრმის მაქსიმალური ტემპერატურა	-	90 °C
მაქსიმალური მუშა წნევა	-	50 ბარი
გარემოს მაქსიმალური ტემპერატურა	-	40 °C

ელექტრო ძრავა

ქსელთან მიერთება	-	3~400 V ±10 %, 50 Hz
რეიტინგული სიმძლავრე P2	-	22 კვტ
რეიტინგული სიჩქარე	-	2900 1 / წთ
ნორმალური ნაკადი	-	39,7 A
დაცვის ხარისხი	-	IP 55
მოტორული ეფექტურობა ηm 50%	-	92.3%
მოტორული ეფექტურობა ηm 75%	-	93%
მოტორული ეფექტურობა ηm 100%	-	92.9%
სიმძლავრის კოეფიციენტი	-	0.86

საიზოლაციო კლასი

-


F

მოტორული დაცვა


-

PTC


(ნახაზი #8)



(ბანაზი #9)



(ბანაზი #10)



მუშა პარამეტრები:

გადასაქაჩი სითხე	- წყალი 100%
წარმადობა	- 20 მ3/სთ
დაწნევა	- 200 მ
გადასაქაჩი სითხის ტემპერატურა	- 20 °C
სიმკვრივე	- 998,2 კგ/მ3
კინეტიკური. სიბლანტე	- 1 მმ2/წმ

ჰიდრავლიკური მონაცემები (მუშა წერტილში)

წარმადობა	- 20,21
მ3/სთ	
დაწნევა	- 204,32 მ
ღერძის სიმძლავრე P2	- 18,66 კვტ
ჰიდრავლიკური ეფექტიანობა	- 60,26 %

პროდუქტის დეტალები

სექციური ტუმბო	
მაქსიმუმი მუსა წნევა	- 5 მპა
გადასაქაჩი სითხის ტემპერატურა	- -5 °C + 90 °C
გარემოს მაქსიმალური ტემპერატურა	- 40 °C

მოტორის მონაცემები

ქსელთან მიერთება	-	3~400 V ±10 %, 50 Hz
დასაშვები ძაბვის ვარდნა	-	±10 %
მაქს. სიჩქარე	-	2900 1/წთ
ნორმალური სიმძლავრე P2	-	22 კვტ
ნორმალური ნაკადი	-	39,7 A
სიმძლავრის კოეფიციენტი	-	0,86

ეფექტიანობა

50% / 75% / 100%	-	92,3/93/92,9%
დაცვის ტიპი	-	IP 55
საიზოლაციო კლასი	-	F
ელექტრო ძრავის დაცვა	-	PTC

აბასთუმნის სასმელი წყლის გამწმენდი სადგურის განმარტებითი ბარათი
შემომავალი წყლის ხარისხის მოკლე მიმოხილვა

პროექტში მოტანილი წყლის ცალკეული ანალიზები მიუთითებს, რომ გასაწმენდი წყალი არ საჭიროებს ქიმიურ კორექციას. ძირითადი ამოცანაა წყლის სიმღვრივის მოშორება, რათა წყალი აკმაყოფილებდეს საქართველოს სასმელი წყლის ტექნიკურ რეგლამენტის მოთხოვნებს.

ადგილობრივი სერვის ცენტრის თანამშრომლების გამოკითხვით დგინდება, რომ შემომავალი წყალი გამოირჩევა საშუალო სიმღვრივით (<300 მგ/ლ) და დროდადრო ხასიათდება მომეტებული სიმღვრივით, რაც რამდენიმე საათს გრძელდება.

გამწმენდის ტექნოლოგიის მოკლე მონახაზი

გამწმენდის ტექნოლოგიის შერჩევა ეფუძნება შემდეგ დაშვებებს:

1. შემომავალ წყალს ქიმიური კორექცია არ ესაჭიროება;
2. შემომავალ წყალში შეწონილი ნაწილაკების შემცველობა უმეტესწილად არ აღემატება 300 მგ/ლ.
3. 300 მგ/ლ მეტი შეწონილი ნაწილაკების რაოდენობა ფიქსირდება ხანმოკლე პერიოდების განმავლობაში (6 საათი).


ამ დაშვებებიდან გამომდინარე შერჩეულია გამწმენდის ტექნოლოგიური სქემა.

აღნიშნული რაოდენობის ნაწილაკების მქონე წყალს სალექარი არ ესაჭიროება, რადგან თანამედროვე ულტრაფილტრაციის სისტემები ამგვარ წყალს სალექრის გარეშე ფილტრავენ. კერძოდ, 1,5 მმ მემბრანები განკუთვნილია 300 მგ/ლ შეწონილი ნაწილაკების მქონე წყალზე. მოკლე პერიოდით მას შესაძლებლობა აქვს 500 მგ/ლ ნაწილაკებიან წყალს გაუმკლავდეს. რაც შეეხება

ნაწილაკების უფრო მაღალ კონცენტრაციას, ამ დროს ულტრაფილტრაციის სისტემა ხშირი უკუგამორეცხვის გამო დაიწყებს გამომავალი წყლის წარმადობის შემცირებას. ამ სისტემის უპირველესი უპირატესობა ისაა, რომ ადამიანის ფაქტორისაგან დამოუკიდებლად, გაფილტრულ წყალს გარანტირებულად მოაშორებს სიმღვრივეს.

იმის გამო, რომ წყალაღება ხდება 1428 მ სიმაღლეზე, ხოლო გამწმენდი მდებარეობს 1392 მ სიმაღლეზე (წყლის სვეტის სიმაღლე - 36 მ), შემომავალი ტუმბოს საჭიროება აღარ არსებობს.

გამწმენდი სადგურის ტექნოლოგიური სქემა გამოიყურება



შემდეგნაირად:

1. ჰიდროციკლონი კენჭებისა და დიდი ზომის მძიმე ნაწილაკების მოსაშორებლად;
2. 500 მიკრონიანი ბადურა ფილტრებში წყლის გატარება;
3. მილსადენში კოაგულაცია და შემდგომი 30-60წმ დაყოვნება;
4. ულტრაფილტრაცია;
5. ჰიდროციკლონიწყლის გაუსნებოვნება;

ტექნოლოგიური სქემა

1. ჰიდროციკლონი


ჰიდროციკლონს დანიშნულებაა კენჭებისა და მძიმე ნაწილაკების მოშორება წყლიდან. ის მუშაობი ავტომატურ რეჟიმში რაც გულიხმობს დაგროვილი მყარი ნაშთის დროდადრო ჩარეცხვას.

ჰიდროციკლონი (სურათი #22)

შემომავალი წყალი თვითდინებით, დაახლოებით 3 ბარი წნევით მიეწოდება 2 ჰიდროციკლონს. ჰიდროციკლონის ტექნიკური მახასიათებლები:

მაქსიმალური წყლის ნაკადი 200 მ³/სთ, მუშა წნევა: მინიმალური 1 ბარი, მაქსიმალური 10 ბარი, ფილტრის კორპუსის მასალაა კარბონიზებული ფოლადი, გამორეცხვა - ავტომატური. დაწვრილებითი მონაცემები იხ. დანართებში 2 და 3.

2. ბადურა ფილტრი



500 მიკრონიანი ბადურა ფილტრების გამოყენების მიზანია ულტრაფილტრაციის მემბრანების დაცვა. ბადურა ფილტრი ამცირებს

შეწონილი ნაწილაკების რაოდენობას, თუმცა ამის პროგნოზი შეუძლებელია, რადგან არ მოიპოვება წყალში შეწონილი ნაწილაკების ზომების კვლევის ანალიზი, რომელიც წარმოაჩენს ნაწილაკების ზომის განაწილების ფუნქციას.

ბადურა ფილტრი (სურათი #23)

წინასწარი გაწმენდა ხდება ორი ავტომატური ბადურა ფილტრის მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფს 400 მ³/სთ-მდე წყლის ხარჯს (300 მგ/ლ შეწონილი ნაწილაკების პირობებში). ბადურა ფილტრი საჭიროა პირვანდელი წყლის 500 მიკრონზე მეტი ზომის შეწონილი ნაწილაკებისგან გასაწმენდად. ფილტრი დგება შემომავალი წყლის სადაწნეო ხაზზე. ბადურა ფილტრი ავტომატურია. მას მართავს საკუთარი კონტროლერი.

ავტომატური ბადურა ფილტრის ტექნიკური მახასიათებლები:

მაქსიმალური წყლის ნაკადი 700 მ³/სთ, მუშა წნევა: მინიმალური 1,5 ბარი, მაქსიმალური 10 ბარი, ფილტრაციის ფართობი 6000 სმ², ბადის ზომა 500 მიკრონი.

ბადურა ფილტრზე წინასწარი გაწმენდის შემდეგ, მიეწოდება ულტრაფილტრაციის დანადგარს. დაწვრილებითი მონაცემები იხ. დანართებში 2 და 3.

3. კოაგულაცია

ულტრაფილტრაციაში კოაგულაციის ძირითადი მიზანია კოლოიდური ორგანული ნაწილაკების მუხტის განეიტრალება, რათა უკუგამორეცვისას ნაწილაკები ადვილად მოშორდნენ მემბრანებს და აღადგინონ მათი გამტარუნარიანობა. ამ მიზნის მისაღწევად საკმარისია 30-60წმ საკონტაქტო დრო. საკონტაქტო ავზად განკუთვნილია შესაბამისი მოცულობის სადაწნეო ავზები. ფლოკულაცია არ არის საჭირო. აღსანიშნავია, რომ ახალი მონაცემების მიხედვით, საკმარისია კოაგულაცია მოხდეს ფილტრაციის დაწყებიდან პირველი 4-5 წუთის განმავლობაში. ეს მეთოდი კოაგულანტის გამოყენებას ამცირებს არანაკლებ 8-ჯერ, რაც სერიოზულ ეკონომიას იძლევა. თუმცა, ეს მეთოდი დროდადრო

შემოწმებული უნდა იქნას მომსახურე პერსონალის მიერ სხვადასხვა სიმღვრივის წყალზე.

დაწვრილებითი მონაცემები იხ. დანართებში 2 და 3.

ულტრაფილტრაცია

ულტრაფილტრაცია ეს არის მემბრანული პროცესი, რომელიც მემბრანითაა წყალი წნევის ქვეშ გაიჟონება ნახევრადგამტარ კედლებში, რის შედეგადაც წარმოიშვება ფილტრატი (გაწმენდილი წყალი) და კონცენტრირებული ხსნარი, ჩაჭერილი ნივთიერებებისგან.

ულტრაფილტრაციული მემბრანებით ჩაიჭირება კოლოიდური და მცირედდისპერსიული მინარევეები, წყალმცენარეები, ერთუჯრედიანი მიკროორგანიზმები, ბაქტერიები, ვირუსები და ცისტები.

ულტრაფილტრაციის მემბრანის თითოეული მოდული წარმოადგენს 1,5 მმ მემბრანების კონას. ულტრაფილტრაციის მემბრანების მოდულებში წყლის ნაკადის ფილტრაცია შიგნიდან გარეთ მიმართულებით მიმდინარეობს. მემბრანის ფილტრაციის ხარისხი (ფორების ზომა) 0.02 მიკრონია. მემბრანები დამზადებულია PESM მასალისგან.

წყლის გასაწმენდად შერჩეულია 1,5 მმ დიამეტრის მემბრანები, რომელიც გამოირჩევა დაბინძურებული წყლისადმი მომეტებული მდგრადობით. ამ მემბრანებისათვის წყლის დაბინძურება მუშა რეჟიმში შეიძლება აღწევდეს 300 მგ/ლ შეწონილი ნაწილაკებს, რაც ხშირ შემთხვევაში სალექრის აუცილებლობას გამოიწვევს. ამგვარი დაბინძურებისას გამწმენდი სისტემა იმუშავებს გაწმენდილი წყლის საპროექტო ნაკადზე. სისტემის პროექტირებისას გამოთვლილია ყველა ძირითადი პარამეტრი და მათი ცვლილების საზღვრები. სისტემა განკუთვნილია 231,12 მ³/სთ (64,2 ლ/წმ) გაწმენდილი წყლის წარმადობაზე როდესაც გასაწმენდი წყლის შეწონილი ნაწილაკები 300 მგ/ლ აღწევს. მემბრანების საერთო ფართობია 4500 მ². თუ წყალი ნაკლებად დაბინძურებულია, მაშინ სისტემის წარმადობა იზრდება. მაგალითად, უფრო ნაკლებად დაბინძურებული წყლის შემთხვევაში ნაკადმა შეიძლება მიაღწიოს 360 მ³/სთ (100 ლ/წმ) და

მეტს. თუ კი შეწონილი ნაწილაკები გადააჭარბებს 300 მგ/ლ ნიშნულს, მაშინ სისტემის წარმადობა ამ სიდიდის ზრდასთან ერთად მომეტებული უკუგამორეცხვის გამო ნაკლებ წარმადი გახდება. გამომავალი წყლის ნაკადი დაიწყებს კლებას. იმ შემთხვევაში თუ შემომავალი წყალი ატალახდა და ულტრაფილტრაციის სისტემაში შემოვა წყალი ძალზე მაღალი შეწონილი ნაწილაკებით, მაშინ გამწმენდი სადგური რამდენიმე საათით დაიკეტება და მომხმარებლის წყლით მომარაგება სათადარიგო ავზებიდან.


დანადგარი შედგება სამი პარალელური ბლოკისგან, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ და აქვთ დამოუკიდებელი მართვის სისტემა. თითოეული ბლოკი შედგება 30 მოდულისაგან. ერთი მემბრანის მოდულის ფილტრაციის ფართობია 50 მ², ფილტრაციის საერთო ფართობი სისტემისთვის შეადგენს 4500 მ². გაფილტრული წყლის ნაკადია 231,12 მ³/სთ (64,2 ლ/წმ). დანარჩენი პარამეტრები მოცემულია ტექნიკური მახასიათებლებში.

დანადგარში შემოსული ნაკადი იმართება ნაკადის რეგულირების სარქველის მიერ, რომლის დანიშნულებაცაა მემბრანებში გამავალი ნაკადის შეზღუდვა საპროექტო მონაცემების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ გაითიშება დენის მიწოდება, აკუმლატორზე მომუშავე შემომავალი ურდულები გადაკეტავს შემომავალ წყალს და საგანგაშო სიგნალს აამოქმედებს, რითაც შეატყობინებს ოპერატორს დენის გათიშვას.

ულტრაფილტრაციის შემდეგ გაწმენდილი წყალი გროვდება საერთო კოლექტორში და დარჩენილი წნევით მიეწოდება სუფთა წყლის რეზერვუარს ან ქსელს.

დაგროვილი მყარი მინარევისაგან მემბრანები იწმინდება უკუგამორეცხვით. უკუგამორეცხვა ხდება ტუმბოს მეშვეობით, რომელიც სუფთა წყლის რეზერვუარებიდან, უკუსვლით წყალს აწვდის მემბრანის მოდულებს, რითაც დაგროვილ, ჩაჭერილ მინარევებს ამორეცხავს.

ულტრაფილტრაციის სისტემაში გათვალისწინებულია როგორც CEB ქიმიური გამორეცხვის (ტუტის, ქლორის და მჟავის დოზირებით), ასევე CIP



ქიმიური გამორეცხვის სადგურები (ტუმბო $Q=42 \text{ m}^3/\text{h}$, $H=18.5 \text{ m}$). CEB სადგური იმართება ავტომატურად ოპერატორის მიერ ჩართვის დილაკის დაჭერის შემდეგ. CIP სადგური იმართება ოპერატორის ზედამხედველობის ქვეშ. ყველანაირი გამორეცხვა უტარდება ერთ, ცალკე აღებულ ბლოკს. ამავე დროს, დანარჩენი 2 ბლოკი ჩვეულ რეჟიმში მუშაობს.

დაწვრილებითი მონაცემები იხ. დანართებში 2 და 3.

ულტრაფილტრაცია (ნახაზი #11)

ულტრაფილტრაციის მართვის კონტროლერი

ულტრაფილტრაციის დანადგარის თითოეულ ბლოკს უშუალოდ მართავს მგრძნობიარე ეკრანის მქონე კონტროლერი, რომელიც მუშაობს ავტომატურ ან ხელით მართვის რეჟიმში.

ძირითად ეკრანზე გამოსახულია სისტემის ზოგადი მონახაზი, არსებული მდგომარეობა დროის ინდიკატორით, ურდულების, ავზებისა თუ სხვა შემადგენელი კომპონენტების ვიზუალური და რიცხვობრივი მაჩვენებლები. ასევე მენიუსა და სხვა სამართავი დილაკები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს პარამეტრების რეგულირებას, მონაცემებზე დაკვირვებასა და ხელით მართვის რეჟიმში თითოეული კვანძის ოპერატორის მიერ ჩართვა-გამორთვა-დარეგულირებას. რაც მოიცავს:

მონაცემების ისტორია:

- წყლის ნაკადები
- წნევები
- ავზებში წყლის დონე
- ქიმიურ ავზებში დონე
- ურდულების მდგომარეობა
- ტუმბოს მდგომარეობა
- ტუმბოდოზატორების მდგომარეობა
- Ph
- მიმდინარე რეჟიმი

ისტორიის შენახვა შესაძლებელია ოპერატორის მიერ შეყვანადი დროის ინტერვალით გამაფრთხილებელი & საგანგაშო სიგნალები:

- წნევების მაღალი & დაბალი მაჩვენებლები
- ნაკადების მაღალი & დაბალი მაჩვენებლები
- Ph მაღალი & დაბალი მაჩვენებლები
- ტუმბოებისა თუ ურდულების გაუმართაობა
- აუცილებელი ან სასურველი გამორეცხვა
- აუცილებელი ან სასურველი ქიმიური გამორეცხვა
- აუცილებელი ან სასურველი სიპ გამორეცხვა
- ფაზის უწყსრიგობა
- ავზებში დონის მზომების გაუმართაობა

შესაძლებელია საგანგაშო და მაფრთხილებელი შეტყობინებების კოდით დაცულ რეჟიმში აქტივაცია/დეაქტივაცია.

განგაშების ისტორია:

ყველა არსებული გამაფრთხილებელი თუ საგანგაშო სიგნალების გააქტიურებისა და გათიშვის თარიღი, დრო. განგაშის დაფიქსირებამდე არსებული პროცესი.

პარამეტრები:

- ავტომატური ფილტრაციის სამუშაო დრო

- გამორეცხვის გარეშე ფილტრაციის რეჟიმში მუშაობის მაქსიმალური დრო
- პირდაპირი გამორეცხვის დრო
- უკუგამორეცხვის დრო
- ტუმბოს სიხშირე უკუგამორეცხვისას
- გამორეცხვის ტუმბოს სიხშირის რეგულირება
- გამორეცხვის გარეშე მუშაობის მაქსიმალური დრო
- ურდულების გახსნა/დაკეტვისთვის განკუთვნილი დრო
- ციფრული მოწყობილობების შემავალ გამავალი სიგნალების რეგულირება (წნევა, ნაკადი, სიხშირული მართვის ბლოკი...)
- ავტომატური ქიმიური გამორეცხვა (ამ პროცესის ჩართვა/გამორთვა) პარამეტრების შეცვლა შესაძლებელია ოპერატორისა და კოდით დაცულ რეჟიმში ინჟინრის მიერ.

ქიმიური გამორეცხვის ხელით მართვის რეჟიმში ჩართვისთვის გამოყოფილია ცალკე ეკრანი და მოიცავს ყველა საჭირო ქვერეჟიმების, პარამეტრების დეტალურ მაჩვენებლებს. ტუტით თუ მჟავით გამორეცხვის არჩევის საშუალებას და თითოეული ქვერეჟიმის დასრულების დროს.

დანადგარის შემადგენელი სამი კონტროლერი უკავშირდება მთავარ V1210 მგრძნობიარე ეკრანიან კონტროლერს. მათ შორის არის Master/Slave მეთოდზე დამყარებული ინფორმაციათა ორმხრივი მიმოცვლის კავშირი.

მთავარი კონტროლერი ახდენს მათი რეჟიმების, მონაცემებისა და საგანგაშო ისტორიების საერთო ბაზაში გაერთიანებას, ასახვასა და დამუშავებას. უზრუნველყოფს ბლოკების ურთიერთშეთანხმებულ, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით დანადგარის ოპტიმალურ მუშაობას. ასევე შესაძლებელია დაქვემდებარებული კონტროლერების პარამეტრების შეცვლა, ოპერატორის ან კოდით დაცულ რეჟიმში ინჟინრის მიერ.

ულტრაფილტრაციის პროცესების ავტომატიზება

ულტრაფილტრაცია შედგება 4 ძირითადი პროცესისგან:

- ფილტრაცია
- გამორეცხვა
- მოლოდინი
- ქიმიური გამორეცხვა

პროცესებს აქვთ გარკვეული თანმიმდევრობის ქვეპროცესები, თითოეულ მათგანს მოლოდინის გარდა, კი აქვს მიმართულება ზედა (როდესაც წყალი მემბრანებში გაივლის ზემოდან ქვემოთ) და ქვედა (როდესაც წყალი მემბრანებში გაივლის ქვემოდან ზემოთ).

1) ფილტრაცია

1. ზედა

2. ქვედა

2) გამორეცხვა

1. პირდაპირი გამორეცხვა ზემოდან

2. უკუგამორეცხვა ზემოდან

3. პირდაპირი გამორეცხვა ქვემოდან

4. უკუგამორეცხვა ქვემოდან

3) მოლოდინი

4) ქიმიური გამორეცხვა

1. პირდაპირი გამორეცხვა ზემოდან ან ქვემოდან

2. უკუგამორეცხვა ზემოდან ან ქვემოდან (შესაბამისად)

3. ინექცია ზემოდან

4. ინექცია ქვემოდან

5. დაღობვა (იგივე მოლოდინი)

6. უკუგამორეცხვა ზემოდან

7. უკუგამორეცხვა ქვემოდან

თითოეული ქვეპროცესებისთვის ხდება ჯერ ურდულების მომზადება: გახსნა-დაკეტვა. შემდეგ კი ტუმბოებისა თუ ტუმბოდოზატორების ან სხვა მოწყობილობების ჩართვა, მას შემდეგ რაც ურდულების კონტროლერისადმი

გადაცემული სიგნალები დააკმაყოფილებენ დასაწყები პროცესისთვის შესაბამის პირობებს.

4. გამონარეცხი წყლის დამუშავება

გამონარეცხი წყალი გროვდება ავზში, სადაც ხდება მისი pH განეიტრალება, რის შემდეგაც, შემომავალ წყალთან შერევით, გადაიღვრება სადრენაჟო მილსადენით.

წყლის გაუსნებოვნება.

პროექტის თანახმად მოცეზულ ობიექტზე წყლის გაუსნებოვნებისათვის გამოიყენება ქლორგაზი. ქლორგაზით გაუსნებოვნებისას ბაქტერიები, რომლებიც წყალში იმყოფებიან, იღუპებიან პროტოპლაზმის უჯრედების შემადგენელი ნივთიერებების ჟანგვის შედეგად. ქლორი ასევე ჟანგავს წყალში მყოფ ორგანულ ნივთიერებებს. წყლის ხარისხიანი დაქლორვისათვის აუცილებელია ქლორის წყალში კარგად შერევა და შემდგომ არანაკლებ 30 წუთიანი პერიოდი წყლისა და ქლორის კონტაქტისათვის წყლის სასმელად მოხმარებამდე. კონტაქტი შესაძლოა მოხდეს წყლის რეზერვუარში ან უშუალოდ წყალსადენ მილში, თუ კი ამ უკანასკნელს გააჩნია საკმარისი სიგრძე პირველ მომხმარებლამდე. გაუსნებოვნებისათვის საჭირო ქლორის დოზას განსაზღვრავენ წყლის ტექნოლოგიური ანალიზის შედეგად. საქართველოში მიღებული რეგლამენტის თანახმად სასმელ წყალში ნარჩენი ქლორის რაოდენობა უნდა შეადგენდეს 0,3 – 0,5 მგ/ლ. ამ მაჩვენებლის მისაღწევად გაწმენდილი წყლის დაქლორვისათვის გამოყენებული ქლორგაზის დოზა შესაძლოა მერყეობდეს 0,5 – 1 მგ/ლ. ერთ ლიტრზე წყლის ქლორშთანთქმის გათვალისწინებით.

ქლორგაზით წყლის გაუსნებოვნების უპირატესობებს მიეკუთვნება:

- შედარებით დაბალი ფასი;
- ხანგძლივი ნარჩენი გაუსნებოვნება;
- რეაქციის სიმარტივე და დოზის პროგნოზირება;
- ხარჯების შემცირება ტრანსპორტირებაზე მისი ცენტრალიზებისას.

მიუხედავად უპირატესობებისა ქლორი განეკუთვნება მაღალი საშიშროების მქონე ნივთიერებათა რიცხვს ორგანიზმის გამაღიზიანებელი და მხუთავი თვისებებით. შეაღწევს რა ღრმად სასუნთქ გზებში ქლორი იწვევს ფილტვის ქსოვილის დაზიანებას და ფილტვების შეშუპებას. დიდ საშიშროებას წარმოადგენს ქლორით მოწამვლის შედეგად წარმოქმნილი გართულებები: ფილტვების ანთება და გულსიხლძრღვთა სისტემის დაზიანება. ჰაერში ქლორის კონცენტრაციის შესაბამისად მოცემულია შემდეგი გრადაციები:

- შესამჩნევი სუნი - 3,5 მგ./მ³;
- ყელის გაღიზიანება - 15 მგ./მ³;
- ძლიერი ხველა - 30 მგ./მ³;
- მაქსიმალური მოკლე დროით ზემოქმედება - 40 მგ./მ³;
- სიცოცხლისათვის საშიში - 60 მგ./მ³;
- სწრაფი სიკვდილი - 1000 მგ./მ³;

